# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 13 თებერვალი 2006 №31 (2653) ფასი 50 თეთრი


# ექვსის საათზე შვიდს ერთი აკლია



## რას იზამს ოლეგ ბლოხინი: კალენდარზე წიხლს გვიკრავს თუ ნაბიჯს გადმოდგამს?



...საქართველოს ნაკრებისთვის კალენდარი იდეალურია, ეს იმაზე უკეთესიც კია, ვიდრე პარიზში გამგზავრებამდე დავგეგმეთ.

...კლაუს ტოპმიოლერს სურდა, რომ წლეულს მხოლოდ ორი თამაში გვქონოდა, რადგან 15 ნოემბერი და 7 თებერვალი ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღეებია და უნდა გამოვიყენოთ.

...ფრანგებმა თქვეს, ციკლის თბილისში დამთავრება დიდი რისკია, ამაზე არ დავთანხმდებითო.

...ახლა ყველაფერი ოლეგ ბლოხინის ნებაზეა დამოკიდებული. უკრაინელთა პარიზულმა დელეგაციამ გვითხრა, ბლოხინის გარეშე კალენდარზე დასტურის გაცემის უფლება არ გვაქვსო...

ეს ნოდარ ახალკაცის სიტყვებია, რომელსაც გუშინ პარიზში დავუკავშირდით.

მოკლედ, ბლოხინი, ბლოხინი... უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა გვითხრა, ყველაფერი მის სიტყვაზეა, ის ან ჰოს იტყვის, ან არას, პასუხი კი ხვალ ნაშუადღევს გვეცოდინებაო.

და თუ „არა“ იქნება, კალენდარს უეფა შეადგენს, რაც ქართველებს ძალიან არ გვინდა. ტოპმიოლერს მოსწონს და...




## აქედანაც თუ ვერ გავედით...

### კენჭმა ავსტრიას, ისლანდიას, ფინეთს და ლუქსემბურგს შეგვყარა

torino 2006

## ოქრო და, რა ოქრო!




AFP ფოტოინფორმაცია

პირველი ტურინული ტრიუმფი გერმანელმა ბიატლონისტმა მიხაელ გრაისმა მოიწყო



# შუკრაინას ულტიმატუმი წავუყენეთ

## გოლფსტრიმი, ფრანგი ტიმის მძღოლი და იდეალური კალენდარი

ექვსი ქვეყნის საფეხბურთო საზოგადოება მეშვიდეს, უკრაინის დასტურს ელის, რათა ევროშესარჩევი ციკლის B ჯგუფის კალენდრის პროექტი რეალობად იქცეს. გუშინ პარიზში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს შევეხმიანეთ და სიახლეების გარდა პარასკევის შეხვედრის პერიპეტიებზეც დავეკითხეთ...



გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

— ახალი ჯერ არაფერია. უკრაინელებმა დღეს უნდა ითათბირონ და ხვალ პასუხს გვაცნობებენ.

**— ლიტველთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა გვითხრა, კომპრომისულ ვარიანტამდე მისვლა მთლიანად ახალკაცის დამსახურებააო...**

— მადლობელი ვარ ბატონი ლიუბინსკასის, თუ ამგვარი რამ თქვა. საფრანგეთის ფედერაციის გენმდივანმა ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდსაც განუცხადა, ქართული დელეგაციის მადლობლები ვართო. ფრანგები მასპინძლები იყვნენ და იმით, რომ მოლაპარაკება არ ჩაიშალა, გარკვეულწილად მათი რეპუტაციაც გადარჩა.

**— ჩაშლის საფრთხე რეალური იყო?**

— შოტლანდია და უკრაინა ვერ თანხმდებოდნენ. შოტლანდიელებმა თქვეს კიდეც, დავიშალოთო. კომუნიკაციის პრობლემაც დადგა — უკრაინელებთან თარჯიმნის დახმარებით ლაპარაკობდნენ. მაშინ ხუთი წუთი ვითხოვეთ უკრაინელებთან დასალაპარაკებლად და, ფაქტობრივად, შოტლანდია — უკრაინის მატჩისთვის „ჩვენი" ერთი თარილი დავთმეთ. არ გვინდოდა, ჩვენთვის იდეალური ვარიანტი დაგვეკარგა. ფრანგებთან და იტალიელებთან სხდომის დაწყებამდევე ვიყავით შეთანხმებულნი მისაღებ თარილებზე. ბოლოს შევძელი დამერწმუნებინა უკრაინელები, რომ მათ მიერ შემოთავაზებულ და ჩვენ მიერ შემუშავებულ ვარიანტებს შორის 12 ტურიდან ერთადერთში იყო სხვაობა. ოლეგ კუზნეცოვმა თქვა კიდეც, სპორტული პრინციპებიდან გამომდინარე, მისაღები ვარიანტიაო და ბოლოს იძულებულნი იყვნენ, ელიარებინათ, რომ უბრალოდ არ ჰქონდათ კალენდარზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

**— უკრაინამ უეფას მიერ კენჭისყრის ჩატარებაზე გააკეთა აქცენტი?**

— შემოგვთავაზეს, ერთ-ორ კვირაში კიევში შევიკრიბოთ, სადაც ჩვენი ხელმძღვანელობაც იქნებაო. ეს უკვე ჩვენთვის იყო მიუღებელი.

**— უკრაინელთა გარდა პრობლემა არავისთან შეგქმნიათ?**

— ფარერებმა წინასწარვე განაცხადეს, ნოემბერსა და და მარტში ჩვენთან თამაში გამორიცხულიაო. ამ პერიოდში გოლფსტრიმი მიმართულებას იცვლის და შესაძლოა, თოვლჭყაპში გვეთამაშა, ან სულაც ვერ დამჯდარიყო თვითმფრინავი ფარერებზე. ფრანგებს ამის გამოცდილება ჰქონდათ — იქ თამაშის შემდეგ ერთი დღე გამოფრენას ვერ ახერხებდნენ. ფარერებთან სტუმრად თამაშის შემდეგ ოთხ დღეში მეორე მატჩი არ გვიწევს, ანუ საათებით არ გვექნება დრო გათვლილი და დაგვიანების პრობლემა არ შეგვაწუხებს.

**— იტალიელებთან შეთანხმებული თარილები რითაა ჩვენთვის მისაღები?**

— პირველ ტურში სტუმრად ვეთამაშებით, როცა მათი ჩემპიონატი ჯერაც არ არის გახურებული. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. რაც შეეხება ბოლოსწინა ტურში თბილისში თამაშს, თავად გვითხრეს — მარკეტინგული თვალსაზრისით რისკავთ, შესაძლოა, საგზური განაღდებული გქონდეს და საქართველოში უძლიერესი შემადგენლობით არ ჩამოვიდეთო. რა რისკზეა ლაპარაკი, როცა სამი თანაბარძალოვანი შემადგენლობის გამოყვანა შეუძლიათ და აქედან ნებისმიერი მიიზიდავს მაყურებელს. საერთოდ, ვთვლი, რომ იდეალური კალენდარი გვაქვს, იმაზე უკეთესიც კი, ვიდრე პარიზში გამგზავრებამდე დავგეგმეთ. როცა ფრანგებთან და იტალიელებთან გავარკვიეთ თარილები, ლიტვას მერელა დაველაპარაკეთ, ფარერებთან კი მხოლოდ ოქტომბერსა და მარტში გასამართი შეხვედრების ადგილები გავცვალეთ. ძალიან კარგია, რომ 2007 წლის მარტში ორი საშინაო შეხვედრა გვიწევს.

**— არაფერი გითქვამთ ჩვენს უშუალო კონკურენტებთან, უკრაინასთან და შოტლანდიასთან მატჩების თარილებზე...**

— და ფრანგებზე, რომლებიც ასევე ჩვენი უშუალო კონკურენტები არიან...

**— იმედია, მართლაც ასე იქნება, თუმცა საინტერესოა თქვენი აზრი ფრანგებთან საშინაო მატჩიდან ოთხ დღეში უკრაინაში სტუმრობაზე, ასევე ლიტველებთან გასვლითი შეხვედრიდან ოთხ დღეში შოტლანდიის მასპინძლობაზე...**

— იდეალურ ვარიანტში თვეში ერთი თამაში კარგი იქნებოდა, მაგრამ სულ 14 სათამაშო დღეა და 12 ტური. ამდენად, გარკვეულ დათმობებზე წასვლა ნებისმიერ შემთხვევაში იყო საჭირო. თბილისში ფრანგებთან თამაშის შემდეგ უკრაინაში ორსაათიანი გადაფრენა გვიწევს. უეფას კენჭისყრის იმედად რომ დავმდგარიყავით, შესაძლოა თბილისში მატჩი და მერე ფარერებზე მგზავრობა გამხდარიყო საჭირო. ამას რვა-ცხრა საათი და გლაზგოს აეროპორტში პატარა თვითმფრინავში გადაჯდომა დასჭირდებოდა, რადგან ფარერების აეროპორტი დიდ თვითმფრინავებს ვერ იღებს. ბრმა კენჭისყრის იმედად ვერაფრით დავრჩებოდით.

**— ფრანგებთან ბოლო ტურში სტუმრობა?**

— პირიქით გვინდოდა, ფრანგებთან თბილისური მატჩით დაგვესრულებინა შესარჩევი ციკლი. თავიდანვე გვითხრეს, თბილისში შესარჩევი ეტაპის დასრულება ჩვენთვის დიდი რისკია და ამაზე ვერ წამოვალთო. მართალიცაა, ლამის ოცი წელია, ფრანგები ბოლო ტურშილა ინაღდებენ საგზურს. მოლაპარაკების შემდეგ აეროპორტამდე იმავე მანქანით ვიმგზავრეთ, რომელმაც ფრანგები წაიყვანა. მძღოლმა იცოდა, რომ ქართველები ვიყავით და გვითხრა, ფრანგები ერთმანეთში საუბრობდნენ, მეექვსე კალათიდან რაღა საქართველო გამოგვეჩხირაო.

**— ამ კალენდრის მიხედვით, ქართველი ქომაგი საქართველოს ნაკრებს გაზაფხულამდე ვერ ნახავს...**

— ტოპმიოლერის სურვილი იყო, წლეულს მხოლოდ ორი მატჩი გვეთამაშა. თბილისში კი ალბათ ამხანაგურ შეხვედრებს დავგეგმავთ. საამისოდ უეფას ოფიციალურ თარილებს გამოვიყენებთ — 15 ნოემბერს და 7 თებერვალს.

**— იმედი გაქვთ, რომ ხვალ უკრაინა კალენდარს დასტურს მისცემს?**

— მათ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიყენეს თავი. უკრაინელებმა ან ჰო უნდა თქვან, ან კალენდარს უეფა შეადგენს. ეს ის ულტიმატუმია, რომელიც ჩვენ წავუყენეთ. უარი მათ რეპუტაციაზე საკმაოდ ცუდად იმოქმედებს.

**— სხვაზეც ვთქვათ: ვიცით, რომ „ინფრონტის" წარმომადგენლებსაც უნდა შეხვედროდით. სატელევიზიო კონტრაქტის პირობების გადასინჯვას ხომ არ აპირებთ?**

— ვნახოთ, მოვისმენთ მათ აზრს და შემდეგ ვიმსჯელებთ ამაზე. გარკვეული მოსაზრებები გვაქვს, რაც ჩვენთვის უმჯობეს პირობებზე შეთანხმებას ითვალისწინებს.

**— კლაუს ტოპმიოლერი პარაგვაიში მიფრინავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთამერიკელებთან ამხანაგური შეხვედრის ამბავი გადაწყვეტილია?**

— გადაწყვეტილი მას შემდეგ იქნება, რაც პარაგვაიში შესაბამის კონტრაქტს მოეწერება ხელი. ისე კი, მათ უკვე ჩასვეს საქართველოსთან მატჩი მზადების გეგმაში და პრესითაც გაავრცელეს ინფორმაცია. ჩვენში მიღებული საზომებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ეს საკითხი გადაწყვეტილად ჩაითვალოს.

**გიორგი ნოზაძე**

# სურკისმა ბლოხინთან გაგვაგზავნა

## მთავარი მთავარი მწვრთნელია

*დღეს, ნაშუადღევს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ საბოლოო სიტყვა უნდა თქვას — ეთანხმება თუ არა ევრო-2008-ის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდრის იმ ვარიანტს, რომელზეც მეტოქეები პარასკევს პარიზში შეთანხმდნენ. უკრაინის უარის შემთხვევაში კალენდარს უეფა შეადგენს, თანხმობისას კი პარასკევს მოლაპარაკებული ვარიანტი დამტკიცდება.*

*მოკლედ, ახლა საფეხბურთო იტალიის, საფრანგეთის, შოტლანდიის, ლიტვის, საქართველოსა და ფარერების მზერა უკრაინისკენაა. რას იტყვიან ისინი? თუმცა რაღა ისინი, როცა კალენდრის ამბავი მხოლოდ ერთ კაცზე — ოლეგ ბლოხინზე ჰკიდია...*

*უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გრიგორი სურკისიც ბლოხინის ბოლო სიტყვას ელის. იქამდე კი პრეზიდენტს წუხელ ჩვენ დავუკავშირდით...*

— ამ წუთისთვის კონკრეტული პასუხი არ მაქვს, პარიზში შემუშავებულ კალენდრის ვარიანტს უკრაინა ან დაეთანხმება, ან არა. ახლა ვერაფერს გეტყვით, ნაკრების მწვრთნელის სიტყვას ველი და მეტოქეებს ჩვენს გადაწყვეტილებას ხვალ 13 საათზე ვაცნობებთ.

**— პირადად თქვენი პოზიცია როგორია?**

— ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია. უკრაინის ნაკრებს ჰყავს მწვრთნელი, კალენდარიც მისი საქმეა და თავად იტყვის, სურს თუ არა ასეთი კალენდრით თამაში.

**— როგორ ფიქრობთ, კალენდარზე მოლაპარაკება ასე რატომ გაჭიანურდა?**

— პარიზში ჩვენგან უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ნაკრებში ოლეგ ბლოხინის თანაშემწე იყვნენ. მათი თქმით, მეტოქეებმა კალენდრის ათამდე ვარიანტი განიხილეს, მაგრამ საბოლოო შეთანხმების მიღწევა ძალიან გაუჭირდათ. ახლა კი ერთ-ერთი ვარიანტის მიღება ექვს გუნდს სურს, ხოლო უკრაინის ნაკრების თავკაცი ფიქრობს. როგორც ბლოხინი იტყვის, ისე იქნება.

**— ბლოხინი ახლა კიევშია?**

— რა მნიშვნელობა აქვს, სად არის ბლოხინი?! უკრაინის ფეხბურთის ფედერაცია მის სიტყვას ელის.

**— თქვენ რას ვარაუდობთ, მწვრთნელი რა გადაწყვეტილებას მიიღებს?**

— მის გადაწყვეტილებას ხვალ შეიტყობთ. ეს ჯერ თავადაც არ ვიცი.

**ჰოგა ინასარიძე**

# დამყოლი უკრაინა თუ ბრმა უეფა?

**2008 წლის** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის B ჯგუფის მონაწილეები კალენდარზე ჯერაც ვერ თანხმდებიან — ექვსი ქვეყანა ერთ ვარიანტზე შეთანხმდა, თუმცა მათ უკრაინელები ეწინააღმდეგებიან.

აი, რა უთხრა გუშინ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ჟაკ ლამბერტმა ტელეკომპანია „კანალ პლუს"-ს: „ორშაბათს 13 საათამდე უნდა მივიღოთ საბოლოო პასუხი. უკრაინელებმა იციან, რომ კალენდარი მათზეა დამოკიდებული და დრო ითხოვეს. თუ ვერ შევთანხმდით, მაშინ უეფა ბრმა კენჭისყრას ჩაატარებს და კალენდარსაც თავად დაგვიდგენს".

**კახა შალამბერიძე**

# საქართველო ორასპროცენტიანია

## ანატოლი ტიმოშჩუკის აზრები და შიშები



**რამდენი** კაციცაა, იმდენი აზრიაო, ამბობენ და ეს პარიზშიც გამოჩნდა — ჩვენი ჯგუფის წევრი შვიდი ნაკრების წარმომადგენლები ჯერჯერობით კომპრომისზე წამსვლელნი არ ჩანან და ახლა მოლაპარაკებათა შეთანხმებით დასრულება უკრაინელებზეა დამოკიდებული, თუმც აქ ამაზე ალარ ვილაპარაკებთ...

ჩვენი მეტოქეების ვინაობა უკვე დიდი ხანია, გარკვეულია და ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს უკრაინელთა ერთ-ერთი ლიდერის, ანატოლი ტიმოშჩუკის მოსაზრება, რომელსაც „დეილი რეკორდი" გაესაუბრა...

„ჩვენი ჯგუფი ყველა დანარჩენზე გაცილებით რთულია და ვფიქრობ, ყველაზე ძნელი მატჩები არა იტალიასთან ან საფრანგეთთან, არამედ საქართველოსთან და შოტლანდიასთან გველის...

გასაგებია, რომ იტალია-საფრანგეთი მსოფლიო ფეხბურთის გრანდები არიან, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ ისინი უბრალოდ, თავიანთ თამაშს ითამაშებენ, საქართველო და შოტლანდია კი თავს გამოიდებენ და ყველანაირად შეეცდებიან, შესაძლებლობების 200 პროცენტი აჩვენონ" — შიშობს დონეცკის „შახტარის" კაპიტანი.

**ლადო ფულუკიძე**



# შოთას საუკეთესო ვანბასტენური

**„ალკმაარის"** შემტევ შოთა არველაძეს გუშინ პრიზი გადასცეს — ჩვენებური ჰოლანდიურ ერედივიზიონში იანვარში საუკეთესო გოლის გამტანად აღიარეს.

არველაძის „ალკმაარმა" იანვრის ბოლოს სტუმრად „როდას" 4:1 მოუგო და შოთამ ჰეთ თრიქი შეასრულა, ხოლო მისი ერთი გოლი ალკმაარელთა დამრიგებელმა ლუის ვან გაალმა მარკო ვან ბასტენის იმ გოლს შეადარა, ლეგენდარულმა მეგოლემ ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა კავშირის მეკარე რინატ დასაევს რომ გაუტანა. არველაძემ „როდას" მსგავსი გოლი კი შეუგდო, თუმცა ვან ბასტენისგან განსხვავებით, მარცხენა მახვილი კუთხიდან — სწორედ ეს გოლი დაასახელეს ჰოლანდიაში იანვრის საუკეთესოდ.

არველაძემ გვითხრა, რომ პრიზი მას იმ ტელეკომპანიამ გადასცა, რომელიც ერედივიზიონის მატჩებს აშუქებს.

**ნიკა ჯორჯაძე**





იური გაბისკირია არგენტინელებით კმაყოფილია

# არგენტინა ძლიერია

## მოგვწონს, მოვეწონეთ: დარჩა ფული...

**აჰა,** ქართულ გუნდში არგენტინელი ფეხბურთელების დებიუტიც შედგა. 25 წლის ნახევარმცველი დარიო სებალე და 21 წლის ფორვარდი გონსალო დე პორასი „ბორჯომს“ 8 თებერვალს შეუერთდნენ, შაბათს კი „სოხუმთან“ ტესტ-მატჩშიც ითამაშეს. სოსო ფრუიძის გუნდმა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერს შოთა ჯიქიას დუბლით 2:0 მოუგო.

„ბორჯომის“ ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: *მამალაძე, მამარნიშვილი, საჯაია, ს. ბურნაძე, ბაქრაძე, სანიკიძე, მესხი, სებალე, გაბისკირია, დე პორასი, შ. ჯიქია.*

კურორტელთა კაპიტანი და მოთამაშე-მწვრთნელი იური გაბისკირია სამხრეთამერიკელებით კმაყოფილია — ტექნიკური ბიჭები არიან, მინდორზე კარგად აზროვნებენ და ძალიან გამოგვადგებიან, საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე მშვენივრად ითამაშებენო. მისივე თქმით, თავად არგენტინელებსაც სდომებიათ „ბორჯომში“ დარჩენა და...

„ერთადერთი პრობლემა თანხაა. ჯერ არ ვიცით, რა პირობებს დათანხმდებიან არგენტინელები, მაგრამ იმედი მაქვს, საკითხი იოლად მოგვარდება. უახლოეს დღეებში საკონტროლო თამაშებს აღარ ვგეგმავთ, 18 თებერვალს ბოლნისში გველის თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩი. მიუხედავად იმისა, რომ უცხოეთში არ წავსულვართ, მთლიანობაში ზამთრის შეკრება ნორმალური გამოგვივიდა, შემადგენლობაც არ დაგვსუსტებია და წესით, მეორე წრეში „ბორჯომი“ უკეთესი გუნდი უნდა იყოს“ — გვითხრა იური გაბისკირიამ.

აქვე ვთქვათ, რომ ბორჯომელებს დაუბრუნდათ თორნიკე აფციაური. იგი რამდენიმე დღე ბუქარესტის „სპორტულში“ ისინჯებოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. რაც შეეხება ახალგამოჯანმრთელებულ რევაზ გეწაძეს, მან ვარჯიში დაიწყო და „სიონთან“ მატჩისთვის მწყობრში იქნება.

**ილია ნანოგაშვილი**

# ზღვისპირელი მეზობლები ქვედალიგელებთან თევზაობენ

**გეოგრაფიულადაც** და სატურნირო ცხრილშიც მეზობლები, ფოთის „კოლხეთი“ და „ბათუმი“ ლამის დღეგამოშვებით თამაშობენ ამხანაგურ მატჩებს. სოსო ფილიას გუნდმა პირველი ლიგის ერთ-ერთ ლიდერ „მერანს“ 3:1 მოუგო, გოლები კი მიხეილ ქობულაძემ, ზვიად ქუთათელაძემ და ლევან ვართაგავამ გაიტანეს.

„კოლხეთში“ ახალი ისაა, რომ წლიური ბიუჯეტი, 200 000 ლარი გამოუყვეს. მართალია, ზოგიერთი კლუბისთვის ეს თანხაც სანატრელია, მაგრამ...

„ძალიან მეეჭვება, ეს თანხა წლის ბოლომდე გაგვწვდეს. მაისამდე თუ ვიმყოფინებთ, კარგი იქნება. იმედია, მანამდე ძლიერი სპონსორი გამოგვიჩნდება. თურქული „ბეშიქთაშის“ ერთ-ერთი ინვესტორის „კოლხეთში“ მოსვლაზე ისევ არის ლაპარაკი, მაგრამ რეალური ჯერ არაფერია“ — გვითხრა სოსო ფილიამ.

ახლა ორიოდ სიტყვა „ბათუმზეც“ ვთქვათ, რომელმაც გუნდის დაკომპლექტება უკვე დაასრულა. ფოთელთა მსგავსად, „მერანს“ ამ დღეებში ოთარ გაბელიას გუნდიც შეხვდება, მანამდე კი მათ „ქობულეთთან“ წაიამხანაგურეს და გიორგი მანწკავას გოლით 1:0 მოიგეს.

**ილია ნანოგაშვილი**

# ვაკურ-ვიტური ტესტები

**საძლს** რომ საძირკველს გამოაცლი, ისეა თბილისის „ლოკომოტივის“ საქმე. ალბათ, ეჭვი არავის ეპარება, რომ სოსო სირაძის ყმაწვილგუნდს მეორე წრეში ძალიან გაუჭირდება და მესამე საფეხურიდან დაღმა დაეშვება.

„მთავარია, ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღონ, სწორი ფეხბურთი ითამაშონ, მერე კი შედეგიც მოვა“ — გვითხრა სოსო სირაძემ.

„ლოკომოტივმა“ მორიგ საკონტროლო მატჩში თბილისის „დინამო 2“-თან 2:4 წააგო. არადა, გიორგი ჩივაძისა და ზურაბ ავალიანის გოლებით 2:0-ს იგებდა.

აქვე ვაკელთა ძირითადი შემადგენლობაც: *ჩალაძე, ებრალიძე, მიხაილოვი, თავბერიძე, თუთბერიძე, ბახტაძე, პეტროსიანი, ქლენტი, ავალიანი, ჩივაძე, ყენია.*

და სად არის ბრაზილიელი რამონ დე ანაია? სოსო სირაძემ გვითხრა, იგი საღ-სალამათი წავიდა ბრაზილიაში, მაგრამ იქიდან ტრავმირებული დაბრუნდა, საზარდული სტკივაო.

„სასურველი იყო, რამონს შეკრება ჩვენთან გაევლო, მაგრამ ჯერ ვერ ვარჯიშობს. დაჩი ფოფხაძე და გიორგი კახელიშვილიც დაშავებულნი არიან, მაგრამ ტესტ-მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდა ლევან ყენიამ, რომელიც შესაძლოა, „ვიტ ჯორჯიასთან“ სათასო მატჩში ვათამაშოთ“ — გვითხრა სირაძემ.



რამონი ბრაზილიიდან ტრავმით დაბრუნდა

ვიტელებამდე კი „ლოკომოტივი“ ერთხელაც ითამაშებს დღეს „გაგრასთან“. ხოლო თავად „ვიტ ჯორჯია“ გუშინ აგარის „მეშაქრეს“ ორი შემადგენლობით ეთამაშა, მაგრამ ძვრა ვერ უყო — 0:0.

**ილია ნანოგაშვილი**

# დინამო კვიპროსს კურსკით დაამთავრებს

**კვიპროსზე** მყოფმა თბილისის „დინამომ“ შაბათს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. თბილისელების მეტოქე სამხრეთ კორეის „ბუსანი“ იყო. „დინამომ“ 3:2 მოიგო, გოლები კი ჯაბა დვალმა, უჩა ლობჟანიძემ და მიხეილ ბობოხიძემ გაიტანეს.

საინტერესოა, რომ „დინამო“ სამბურთიანი სხვაობით იგებდა, მაგრამ მერე ფეხბურთელებს საქმე მოთავებულად ჩაუთვლიათ, რითაც კორეელებს უმალ უსარგებლიათ და ორი გოლიც პირველსავე ტაიმში გაუტანიათ.

მწვრთნელმა ანდრეი ჩერნიშოვმა გუნდი „ბუსანთანაც“ ორი შემადგენლობით ათამაშა, ოღონდ მეკარე სოსო გრიშიკაშვილი და მცველი სერგო ორბელაძე არ შეუცვლია.

„დინამო“ პირველ ტაიმში: *გრიშიკაშვილი, უ. ლობჟანიძე, ორბელაძე, გიგაური, ნავალოვსკი; ლ. ნოზაძე, ვიეირა, ამბროზიო; გ. მერებაშვილი, ბობოხიძე, დვალი.*

მეორე ტაიმში: *გრიშიკაშვილი; გ. კაშია, ორბელაძე, ქემოკლიძე, აკობია; კ. მახარაძე, თომაშვილი, ჩირიკაშვილი, ა. კალაძე; კვიტაიშვილი, მელქაძე.*

„დინამო“ დღეს კურსკის „ავანგარდს“ შეხვდება, თბილისში კი ხვალ დაბრუნდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# კვირკველიამ და მეტალურგმა ერთმანეთი ორჯერ ნახეს



**ზაპოროჟიეს** „მეტალურგში“ გასინჯვაზე მყოფმა დავით კვირკველიამ უკვე ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა. ზაპოროჟიელებმა ანთალიურ შეკრებაზე ჯერ კორეულ „გიონგნამს“ მოუგეს 1:0, მერე კი ბრაზილიურ „უნიან ბარბარენსეს“ 4:1. როგორც გითხარით, ჩვენებურმა ორივე შეხვედრაში ითამაშა და მისი საკითხი შეკრების ბოლოს გადაწყდება.

გეცოდინებათ, კვირკველია ვლადიკავკაზის „ალანიას“ საკუთრებაა და თუ უკრაინელებმა მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტეს, ოსური კლუბისთვის გარკვეული თანხა ექნებათ გადასახდელი.

ცნობისთვის: კვირკველიას ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ერთი ქართველი დახვდა — ირაკლი მოდებაძემ ტრავმა ახლახან მოიშუშა და ვარჯიშიც განაახლა.

**ბაჩა შალამბერიძე**

# ამისულაშვილი და ოფიციალური ტავრია

**სიმფეროპოლის** „ტავრიამ“ საბოლოოდ გადაწყვიტა ალექსანდრე ამისულაშვილთან კონტრაქტის გაფორმება. ამის თაობაზე გუნდის უფროსმა რუვიმ არონოვმა გაზეთ „კომანდას“ უთხრა.

სიმფეროპოლელებმა უკვე დაასრულეს კვიპროსული შეკრება და ახალწვეულების საკითხიც სწორედ იქ გადაწყდა. კონტრაქტის თანახმად, ამისულაშვილი იჯარის წესით სეზონის ბოლომდე ითამაშებს „ტავრიაში“.

შეგახსენებთ, რომ ამისულაშვილი კიევის „დინამოს“ საკუთრებაა და მანამდე ექვსი თვით თბილისის „დინამოში“ იყო განათხოვრებული.

**ბაჩა შალამბერიძე**

## თქვენი ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან

*ჩვენგან დამოუკიდებელი და თქვენთვის იოლად მისახვედრი მიზეზების გამო თქვენი ინტერვიუ კლაუს ტოპმიოლერთან დაგეგმილ ვადებში ვერ მოხერხდა. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადატვირთულმა გრაფიკმა გაუთვალისწინებელი პრობლემები შეგვიქმნა.*

*ტოპმიოლერთან თქვენს ინტერვიუს უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.*



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: **Starmail@Caucasus.net**

# ისევ ფინეთი და სხვანი
## აქედანაც თუ ვერ გავედით

*შაბათს მადრიდში ევროპის 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფები შედგა. ბევრი კონტინენტის ბობოლა გუნდები ფინალურ ეტაპზე გასასვლელად სექტემბრიდან შეებმებიან ერთმანეთს, თუმცა მათ შორის არ იქნება ბედკრული საქართველო, რომელმაც გასული წლის სექტემბერში ფინეთში წააგო და A დივიზიონში ვერ აინაცვლა*

| პირველი წრის კალენდარი |
|---|
| 3 სექტემბერი |
| **საქართველო — ლუქსემბურგი** |
| 6 სექტემბერი |
| **ავსტრია — საქართველო** |
| 9 სექტემბერი |
| **საქართველო — ისლანდია** |
| 13 სექტემბერი |
| **ფინეთი — საქართველო** |

მაშინ, როცა იტალია, ესპანეთი, პოლონეთი, მაკედონია და სხვები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად შეერკინებიან ერთმანეთს, საქართველო კონტინენტის შედარებით სუსტ გუნდებთან იბრძოლებს A დივიზიონში ასანაცვლებლად. შაბათს მადრიდში B დივიზიონელების კენჭისყრაც გაიმართა და ხუთჯვაროსნებს მეტოქეებად ავსტრია, ფინეთი, ლუქსემბურგი და ისლანდია ერგოთ. კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი კმაყოფილი იყო კენჭისყრით. ჯგუფში ის ორი გუნდია, წინა საკვალიფიკაციოზე რომ ვეთამაშეთ, ხოლო დანარჩენები შარშანდელ მაკედონიას ვერაფრით გაუტოლდებიან.

სანამ ჩვენს მეტოქეებს ცოტა ახლოს გაგაცნობდეთ, გათამაშების სისტემაზე ვთქვათ. შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს B დივიზიონი სამ ჯგუფად დაიყო. შეიქმნა ორი ხუთგუნდა და ერთიც ოთხგუნდა ჯგუფი, რომლებში გამარჯვებულებიც ავტომატურად მოიპოვებენ ნახევარფინალის საგზურს. პლეი ოფში მეოთხე გუნდად საუკეთესო მეორეადგილოსანი გადავა.

საკვალიფიკაციო ეტაპი შარშანდელივით ორწლიანია. ამ წლის სექტემბერში პირველი წრე გაიმართება, 2007-ის ამავე თვეში კი — მეორე. როგორც ხედავთ, საქართველო ხუთგუნდიან ჯგუფში მოხვდა და შესაბამისად მეტ მატჩსაც ითამაშებს.

მადრიდშივე შედგა კალენდარი, რომელიც ასევე მისაღებია ქართველებისთვის. პირველ წრეში ხუთჯვაროსნები ორივე პოტენციურ მეტოქეს სტუმრობენ, შესაბამისად, მეორე წრის გადამწყვეტ მატჩებში უმასპინძლებენ და სხვა თუ არაფერი, ათიათასიანი სპორტის სასახლის მხარდაჭერა ექნებათ.

და ვინ იქნებიან მეტოქეები? რა თქმა უნდა, არც ლუქსემბურგი და არც ისლანდია. ქართველებს C ჯგუფიდან გასვლაში კარგად ნაცნობი ფინეთი და წინა ციკლის გუნდი-სიურპრიზი ავსტრია შეეცილებიან. ავსტრიელები პირველ კალათაში იყვნენ განთესილები, რაკი სექტემბერში ჯგუფიდან გავიდნენ და B-დან A დივიზიონისკენ მიმავალი კიბის ბოლო საფეხურზე დაუცდათ ფეხი. ფინელები კი მესამე კალათაში იყვნენ.

*„კენჭისყრით კმაყოფილები ვართ და კალენდარი ხომ, საერთოდ, ჩვენთვისაა ზედგამოჭრილი — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ბესიკ ლიპარტელიანმა, გუშინ საკომენტაროდ რომ შევეხმიანეთ.*

*...ავსტრიას და ფინეთს, ჯგუფიდან გასვლის უმთავრეს კონკურენტებს, წლეულს სტუმრად ვეთამაშებით, მეორე წრეში კი, როცა ყველაფერი უნდა გადაწყდეს, შინ ვლებულობთ. ჯგუფურ ეტაპს ფინეთთან მატჩით ვამთავრებთ და ეს საკმაოდ დიდი უპირატესობაა ჩვენთვის.*

*...ავსტრია თავისთავად ძლიერი გუნდია. წინა ციკლში ჯგუფიდან გავიდა, მაგრამ მერე მაკედონიასთან შერცხვა, რომელიც ჩვენ თბილისში დავამარცხეთ.*

*...მახსოვს, წინა ციკლის კენჭისყრის შემდეგ ყველამ ერთხმად ვთქვით, მაკედონია ძალიან სახიფათოა, თუ ვაჯობებთ, ჯგუფიდანაც გავალთო. ახლა კი ასეთად არავინ ჩანს. არც ავსტრიაა მაკედონიის დარი და ფინეთს ხომ კარგად ვიცნობთ. ერთი სიტყვით, ძალიან გაგვიმართლა.*

*...ხუთგუნდიან ჯგუფში მოხვედრას ერთი მინუსი აქვს — ფინანსური. აქამდე სამი გასვლითი თამაში გვქონდა, ახლა ერთით მეტი იქნება, მაგრამ არა უშავს, ამ დამატებით 15 ათას დოლარს ფედერაცია აუცილებლად მოიძიებს.*

*–უკვე საქმის კურსშია გორდონ ჰერბერტი, რომელიც, მართალია, ჯერ არ დანიშნულა ჩვენი ნაკრების თავკაცად, მაგრამ ეს მხოლოდ დროის ამბავია. ჰერბერტთან მალე შევათანხმებთ გუნდის მომზადების გეგმას, მასთან კონტრაქტს კი მაშინ გავაფორმებთ, როცა სპორტის მინისტრი, ბატონი გიორგი გაბაშვილი ტურინის ოლიმპიადიდან დაბრუნდება.“*

**ირაკლი ბერტაია**

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი |
|---|---|---|
| რუმინეთი | ალბანეთი | ისლანდია |
| შვეიცარია | სლოვაკეთი | საქართველო |
| ირლანდია | ჰოლანდია | ავსტრია |
| კვიპროსი | ბელარუსი | ფინეთი |
| | ინგლისი | ლუქსემბურგი |

# ჩვენი მეტოქეები

### ავსტრია

ავსტრიის გაგონებაზე ქართველ გულშემატკივარს პირველ რიგში 1997 წელი გაახსენდება, როცა ჩვენები პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ შეხვდნენ ამ ქვეყნის ნაკრებს.

ეს იყო საკვალიფიკაციო ეტაპი, რომელსაც კვიპროსმა უმასპინძლა და საიდანაც საქართველო სწორედ ავსტრიელებთან უდაბაბულეს ფინალში მოპოვებული გამარჯვების წყალობით გავიდა. ჯგუფის ბოლო ტურში თითო წაგებ-მოგების მქონე ავსტრიელები და ქართველები შეერკინნენ, თუმცა გამარჯვებული ძირითადმა დრომ ვერ გამოავლინა. ის კი არა, ქართველები წაგებას ბეწვზე გადაურჩნენ. ბოლო წამებზე მამუკა ტურაშვილმა იყოჩაღა, რომელმაც ზუსტი სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და იქ ქარველებმა 11:4 იმარჯვეს.

ამის შემდეგ ქართველები შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ და ათიდან ათივე მატჩი წააგეს, თუმცა ჩვენ ავსტრიელებზე ვწერთ...

ავსტრიას 50-იან წლებში ეთქმოდა გუნდი. 1951-59 წლებში ამ ქვეყნის ნაკრები ოთხჯერ მონაწილეობდა ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუმც მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია.

მერე და მერე მათ ისე გაუჭირდათ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში ბობოლებში რომ არაფერი გამოსდიოდათ, ევროპის უმდაბლესი რანგის ტურნირში, „პრომოუშენ ქაფში“ სცადეს ბედი. ეს ტურნირი ორჯერ მოიგეს — 1992 და 95 წლებში. მათ აჯობეს ისეთ ვაი-საკალათბურთო ქვეყნებს, როგორებიც არიან სან მარინო, ანდორა, გიბრალტარი, მალტა, ნორვეგია, შოტლანდია...

1996 წლიდან ავსტრია საქართველოსავით ცდილობს ევროპაში თვითდამკვიდრებას, მაგრამ არ გამოსდის. ბოლო ათ წელიწადში ხან საკვალიფიკაციოდან გავიდა, ხან უფრო წინაც გადადგა ნაბიჯი, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს სათოფეზეც ვერ გაეკარა.

ავსტრიამ შარშან მცირე სასწაული მოახდინა, როცა ჯგუფში ბელარუსი ჩატოვა. სლავები ბოლო ტურში მასპინძლობდნენ ავსტრიელებს და იოლი გამარჯვების მოლოდინში მოულოდნელად დამარცხდნენ.

ავსტრია ჯგუფიდან კი გავიდა, მაგრამ A დივიზიონში გადასასვლელად პლეი ოფის ერთი ბარიერის დაძლევაც მართდებდა. დაძლია კი არა, სასტიკად შერცხვა — ავსტრიელები საქართველოს ჯგუფიდან გასულმა მაკედონიამ ორჯერ, ჯამში კი 53 ქულით დაამარცხა.

ავსტრიელებს ერთადერთი ლეგიონერი ჰყავთ — ამერიკის რომელღაც ლიგაში მოთამაშე, 36 წლის დეტერი მეიერი, რომელმაც ნაკრების ბოლო 8 ოფიციალურ მატჩში საშუალოდ 19 ქულა დააგროვა.

### ლუქსემბურგი

არც ეს ნაკრებია ქართველებისთვის მთლად უცხო. ლუქსემბურგი, ფეხბურთის არ იყოს, კალათბურთშიც მაჩანჩალაა და სავარაუდოდ ახლაც ყველა თამაშს წააგებს ჯგუფში.

ლუქსემბურგელთა მთავარი დამრტყმელი ძალა ძმები რანიაკები იყვნენ, თუმც ერთ-ერთმა გასულ სექტემბერს სწორედ ქართველებთან მატჩში, თბილისში დაასრულა სათამაშო კარიერა.

ლუქსემბურგს ჰყავს ნატურალიზებული ამერიკელი ცენტრი ანტონი ჯონსი, რომელმაც გასული წლის სამ ოფიციალურ მატჩში 48 მოხსნა მოიხვეჭა. მან საშინაო მატჩში ტოლი არ დაუდო ჩვენიან ზაზა ფაჩულიას, თუმც ქართველებმა სხვა პოზიციებიდან დაბომბეს ლუქსებურგელები და ორჯერვე იოლად დაამარცხეს.

რაც უნდა მოხდეს, საქართველოს გარანტირებული 4 ქულა აქვს ლუქსემბურგელებთან...

### ფინეთი

ვინ არ იცნობს ფინეთს, ვის არ ახსოვს გასული წლის 3 სექტემბერს ჰელსინკში განცდილი საბედისწერო მარცხი. ტეემუ რანიკომ, ევროპის მასშტაბით თითქმის არაფრით გამორჩეულმა გამთამაშებელმა, 7 სამქულიანი ჩაუგდო ქართველებს. იქით ჰანი მოტოლამაც გაჰკრა-გამოჰკრა მხარი ზაზა ფაჩულიას და ჩვენს სა-A-დივიზიონო ოცნებასაც სკანდინავიაში დაესვა წერტილი.

ახლა ქართველებს კარგი შანსი აქვთ, ფინელებს სამაგიერო მიუზღონ, მაგრამ რევანშზე მეტად მნიშვნელოვანი სკანდინავიელების უკან მოტოვებაა.

ფინელებიც გვარიანად ფერმკრთალად ატყვიან ევროკალათბურთის რუკას, მაგრამ, რა გინდა, კი მოგვიგეს და ახლაც, რა თქმა უნდა, მოსაგებად იმზირებიან კავკასიისკენ.

ფინეთს მეტოქეთაგან ყველაზე „მდიდარი“ საკალათბურთო ისტორია აქვს. ათასი ტბის ქვეყანას 1939-დან 1967 წლამდე ევროჩემპიონატის ფინალური ეტაპი არ გამოუტოვებია, თუმცღა სხვა საქმეა, რას აღწევდა იქ.

ფინელები ბოლოს 1995 წელს გავიდნენ ევროპის უმთავრეს სანაკრებო ტურნირზე და მას შემდეგ ამაოდ ცდილობენ იქ მოხვედრას. მათ იმდენად კარგი შემადგენლობა არ ჰყავთ, რამდენადაც კარგად თამაშობენ კალათბურთს. ჩრდილოელთათვის დამახასიათებელი ცივსისხლიანობითა და დაზუთხული კომბინაცია-სროლებით ფინელებმა შარშან ქართველების დამარცხება შეძლეს, თუმცა მაკედონიელებთან ორჯერვე წააგეს.



ჩვენთვის კარგად ნაცნობი, ფინელთა ერთ-ერთი ლიდერი ტეემუ რანიკო

### ისლანდია

თუ ვინმეს ჰგონია, რომ ისლანდია ხელწამოსაკრავი მეტოქეა, ძალიან ცდება. ევროპის ყველაზე ჩრდილოურ ქვეყანაში კალათბურთსაც თამაშობენ და ეს იმდენად კარგად გამოსდით, რომ გასულ ციკლში რუმინეთს ორივე თამაში მოუგეს.

რუმინეთიც ვერაა დიდი ხვითო, მაგრამ დანია სულ სხვაა. ისლანდიასა და რუმინეთთან ჯგუფში შარშან დანიაც იყო, რომელმაც საბოლოოდ A დივიზიონის საგზური მოიპოვა და მასთან ისლანდია სტუმრად თანაბარ ბრძოლაში, ბოლო წუთებზე დამარცხდა.

ერთი სიტყვით, ყინულეთში გადაკარგულ კუნძულზე ქართველებს იოლი გასეირნება არ ელით, მით უფრო, რომ ისლანდიელები სექტემბრისთვის, სავარაუდოდ, გაძლიერდებიან. გასული წლის დრაფტზე 19 წლის ჯონ სტივენსონი „დალასმა“ მეორე წრეში აიყვანა და ამ ბიჭზე ისლანდიელები დიდ იმედებს ამყარებენ.

**ირაკლი ბერტაია**

| ლუქსემბურგი — წინა საკვალიფიკაციოზე |
|---|
| ლუქსემბურგი 69:94 მაკედონია |
| ფინეთი 97:64 ლუქსემბურგი |
| ლუქსემბურგი 61:87 საქართველო |
| მაკედონია 105:66 ლუქსემბურგი |
| ლუქსემბურგი 62:82 მაკედონია |
| საქართველო 87:65 ლუქსემბურგი |

| ავსტრია — წინა საკვალიფიკაციო |
|---|
| კვიპროსი 65:74 ავსტრია |
| ავსტრია 83:66 ალბანეთი |
| ავსტრია 91:92 ბელარუსი |
| ავსტრია 73:66 კვიპროსი |
| ალბანეთი 82:90 ავსტრია |
| ბელარუსი 60:69 ავსტრია |
| ავსტრია 62:99 მაკედონია |
| მაკედონია 101:75 ავსტრია |

| ისლანდია — წინა საკვალიფიკაციო |
|---|
| დანია 81:71 ისლანდია |
| ისლანდია 79:73 რუმინეთი |
| ისლანდია 60:77 დანია |
| რუმინეთი 72:80 ისლანდია |

| ფინეთი — წინა საკვალიფიკაციო |
|---|
| საქართველო 85:78 ფინეთი |
| ფინეთი 97:64 ლუქსემბურგი |
| ფინეთი 78:87 მაკედონია |
| ფინეთი 87: 79 საქართველო |
| ლუქსემბურგი 62:82 ფინეთი |
| მაკედონია 83:70 ფინეთი |

# მძიმე ვერცხლი

## ზვიად ხანჯალიაშვილი სენსაციით დაბრუნდა

*ძიუდოში მსოფლიოს თასის სერია პარიზული სუპერთასით გაგრძელდა. გუშინ და გუშინწინ ფრანგულ ტატამზე უამრავი ტიტულიანი სპორტსმენი გავიდა. მათ შორის, თორმეტი ქართველიც. საქართველოს ნაკრების თავკაცმა შოთა ხაბარელმა თბილისში ნაჭიდავები გუნდის ლიდერების უმეტესობას ამჯერად დასვენების საშუალება მისცა და, ძირითადად, მეორე-მესამე ნომრები გამოსცადა. საქართველომ მხოლოდ ერთი მედალი მოიპოვა, თუმცა ისეთ წონაში და ისეთი კაცისგან, ალბათ, ბევრი რომ ვერც იფიქრებდა. მძიმეწონოსანმა* **ზვიად ხანჯალიაშვილმა** *ორწლიანი უქმობა ვერცხლის მედლით დაასრულა. წონების მიმოხილვასაც საგანგებოდ ზემოდან ქვემოთ ვიწყებთ...*



[illegible] ფოტო

### +100 კგ

მსოფლიოს სუპერთასზე ძიუდოს ბევრი ვარსკვლავი ჩავიდა. მათ შორის, ყველაზე კაშკაშა, რუსი ალექსანდრ მიხაილინი იყო და, თქმაც არ უნდა, ბევრმა ტურნირის დაწყებამდევე მონათლა ჩემპიონად, მაგრამ...

მსოფლიოს სამგზისა და ევროპის უფრო მეტგზის ჩემპიონი ნახევარფინალში ჩარჩა და, ჩვენდა გასახარად, დიდკაცის დამწუხრება ზვიად ხანჯალიაშვილმა შეძლო. ორმეტრიანმა ქართველმა ძიუდოისტმა მძიმე ტრავმების გამო ლამის ორი წელი გააცდინა და საერთაშორისო ტურნირიდან სულაც უმედლოდ რომ დაბრუნებულიყო, ალბათ, არც არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ ზვიადმა ოთხი ბრძოლა მოიგო და ფინალს უწია. ოქრო კი იაპონელმა იოჰეი ტაკაიმ აღარ დაანება. ძიგორო კანოსა და თბილისის ტურნირების ჩემპიონმა წაუგებელი სერია პარიზშიც განაგრძო.

აქვე ხანჯალიაშვილის მიერ ძლეულებიც: უკრაინელი ვიტალი პოლინსკი, გერმანელი ფაბიან ჰუბერტი, ჰოლანდიელი გრიმ ვუისტერსი და მიხაილინი.

კარგად იჭიდავა ახალგაზრდა ადამ ოქრუაშვილმაც.. ისლანდიელი ტორმოდურ იონსონისა და ფრანგი ჟან-სებასტიან ბონვუასინის დამარცხების შემდეგ, ნახევარფინალში გადასასვლელი შეხვედრა გამოცდილ ტუნისელ ენის ჩედლისთან წააგო. რეპეშაჟში კი კორეელ იუნგ-ჰვან ჩოის გასცდა და ფრანგმა პიერ რობენმა შეაჩერა.

### 100 კგ

თბილისში მძიმე წონაში ნაჭიდავები გიორგი ყიზილაშვილი პარიზში მშობლიურ 100 კილოგრამს დაუბრუნდა და პირველსავე წრეში გვარიანი სენსაციაც გამოაცხო, ათენის ოლიმპიური თამაშების ბელარუსი ჩემპიონი იგორ მაკაროვი დაამარცხა. მერე ზედ ჰოლანდიელი ვან ლოვაარდეც მიაყოლა, მაგრამ ნახევარფინალში გადასასვლელ შეხვედრაში უკრაინელ არტემ ბლოშენკოსთან წააგო. ჩვენებურმა დამამშვიდებელი ეტაპიც უკრაინელთან მარცხით დაასრულა. მსოფლიოს ვიცეჩემპიონი ვიტალი ბუბონი მესამე ადგილზე გავიდა, ხოლო ყიზილაშვილი — მეხუთეზე. რეპეშაჟის ფინალამდე კი გიორგიმ გერმანელი ბენჟამენ ბერლა და კანადელი ალექსანდრუ კიუპე ჩამოიცილა.

ლევან რაზმაძემ ტურნირი ბრაზილიელი მსოფლიოს პრიზიორის, მარიო საბინოს ძლევით დაიწყო, თუმცა მეორე წრეშიც უძლიერესი მეტოქე ერგო, ძიგორო კანოსა და თბილისის ტურნირის იაპონელი ჩემპიონის ტაკამასა ანაის სახით. გამარჯვება ანაის დარჩა, მაგრამ მეოთხედფინალში მანაც წააგო რუს რუსლან გასიმოვთან და რაზმაძე რეპეშაჟის მიღმა აღმოჩნდა.

### 90 კგ

ბესიკ ტყემალაძე შვეიცარიელ დომინიკ ჰიშერს ადვილად გაუსწორდა. მეორე წრეში კი უძლიერეს კორეელთან ჰი-ტაე ჰვანგთან აღარაფერი გამოუვიდა. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა კორეელმა პარიზშიც იპირველა თან ფრანგებს ჯილა ფრედერიკ დემონფოკოც წაუქცია. ეს პირველ წრეში მოხდა. ტყემალაძე რეპეშაჟის პირველსავე შეხვედრაში სწორედ დემონფოკოს შეხვდა და დამარცხდა.

### 81 კგ

გრიგოლ შინჯიკაშვილი პარიზულ მეორე წრეში ზუსტად იმ იაპონელს გადაეყარა, ვისთანაც თბილისში დამარცხდა. რევანშის აღება ვერც ამჯერად მოახერხა. 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოსანი ტაკაში ონო ნახევარფინალშიც გავიდა და ჩვენებურს ბრინჯაოს გზა გაუხსნა, მაგრამ... შინჯიკაშვილი სლოვენიელ კლემენ ფერიანთან დამარცხდა. იქამდე კი ფრანგი დენიელ ბელიარდის ჩამოცილება მოასწრო.

გიორგი ბაინდურაშვილი პორტუგალიელი ჟოაო ნეტოსა და რუმინელი კონსტანტინ კოჟოჩის ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა. იქ კი პოლონელ რობერტ კრავჩუკს ველარაფერი მოუხერხა. რეპეშაჟიც კარგად დაიწყო — ფრანგი დავიდ ზაპიროვიჩი წმინდად დაამარცხა, თუმცა ბელარუს სერგეი შუნძიკაუსთან შეხვედრა ჩვენებურისთვის ბოლო პარიზული აღმოჩნდა.

81 კილოგრამის შემადგენლობა სიძლიერით დანარჩენ ექვს წონას აშკარად ჩამოუვარდება, რაც საბოლოო შედეგზეც აისახა. აქამდე 81-ში დიდ ტურნირზე მედალი მხოლოდ ონოს აელო. გუშინ ჩემპიონი იტალიელი ჯუზეპე მადალონი გახდა. ამ ძიუდოისტს 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზეც უჩემპიონია, ოღონდ 73 კილოგრამში. ფრანგულ ფინალში მადალონიმ კორეელი დაე ნამ სონგი დააიპონა, ნახევარფინალში კი — ტაკაში ონო.

### 73 კგ

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატი, ზაზა კედელაშვილი, ამჯერად ერთი წონით მაღლა გამოვიდა და საკმაოდ კარგადაც იჭიდავა. სლოვაკი ერნო კარპატისა და მოლდოველი ვალერიუ დომინიკას ძლევის შემდეგ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტთან, მსოფლიოს ჩემპიონატისა (2003 წ.) და ოლიმპიური თამაშების (2004 წ.) ჩემპიონ, კორეელ ვონ-ჰი ლისთან დამარცხდა და რეპეშაჟში გადაერთო. ორი მეტოქე იქაც ჩამოიცილა და მომავალ ბრინჯაოსან ბელგიელთან დირკ ვან ტიჩელტთან ველარას გახდა.

დავით კუპრაშვილმა ტურნირი ბერძენი პაველ ნტანკოს ძლევით დაიწყო, მაგრამ მერე მასპინძელ ჟულიენ ფორტთან წააგო და რადგან ვერც ამ ფრანგმა უწია ნახევარფინალს, ჩვენებურს ბრინჯაოს შანსიც არ შერჩა.

მოგვიანებით ამ წონაში გვარიანი სენსაცია დაფიქსირდა. კორეელი ნახევარფინალში დაამარცხა ბულგარელმა გეორგ გეორგიევმა. ათენის ბრინჯაოს პრიზიორმა (66 კილოგრამში) ფინალში რუს სალამუ მეჟიდოვსაც აჯობა და ოქროს მედალი ჩამოიკიდა.

### 66 კგ

ნაკრების თავკაცების გადაწყვეტილებით, საპარიზედ წონა არც ნესტორ ხერგიანმა დაიკლო, მაგრამ კედელაშვილისგან განსხვავებით, მოკრძალებული შედეგი აჩვენა. ალჟირელი ბილალ მუსას ძლევის შემდეგ ნესტორი ერთი კვირის წინანდელი თბილისის ტურნირის პირველკაც ჰიროუკი აკიმოტოსთან დამარცხდა და ბრინჯაოს ბრძოლებში გადაერთო, თუმცა პირველივე მეტოქესთან, ბელგიელ სედრიკ ტაიმანსთან წააგო.

მინდია ხომიზურს რეპეშაჟის შანსიც არ მისცემია. იგი ტატამზე მხოლოდ ერთხელ გავიდა — ფრანგ აჰმედ ულ საიდს ვერაფერი მოუხერხა.





ჰიროუკი აკიმოტომ ფინალამდე უნგრელი ევროპის ჩემპიონი, მიკლოშ უნგვარიც ჩამოიცილა, მაგრამ წლევანდელი ოქროები ვერ გაასამა. ძიგორო კანოსა და თბილისის მსოფლიოს თასის პირველკაცს პარიზში მეორეობა ბრაზილიელმა ჟოაო დერლიმ გამოუწერა. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის სუპერგამარჯვებულმა სამხრეთამერიკელმა, იაპონელამდეც ძლიერი სპორტსმენები ჩამოიცილა.

### 60 კგ

უმსუბუქეს წონაში მხოლოდ ერთი ქართველი გამოვიდა. ახალგაზრდა ბეთქილ შუკვანმა მეორე წრეში წააგო ევროპის ჩემპიონ არმენ ნაზარიანთან და რადგან მერე სომეხმა ნახევარფინალამდეც მიაღწია, ჩვენებური რეპეშაჟი გადაერთო. მაროკოელი რაბაი ბუდერჰემი და უკრაინელი სერგეი მოროხოვცევი ჩამოიცილა, ფრანგ კირილ სოიერი კი ველარ.

თბილისის ტურნირის ფინალისტ იაპონელს ოქრო არც საფრანგეთიდან გაატანეს. გადამწყვეტი ბრძოლა მსოფლიოს კორეელ პრიზიორთან ნამ-სუკ ჩოსთან იპონით წააგო. თბილისის ჩემპიონმა, ფრანგმა დიმიტრი დრაგინმა კი აშკარად გაცრუა იმედები — უზბეკ შარიპოვთან ბეჭებზე დავარდა და, რა გასაკვირია, რეპეშაჟში ჭიდაობაც აუხდენელ ოცნებად დარჩა. კვარცხლბეკს ვერც ბრიტანელმა კრეიგ ფელონმა უწია. მსოფლიოს ჩემპიონი ჰიროაკამ მეოთხედფინალში დააიპონა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### მსოფლიოს სუპერთასი

პარიზი. 11-12 თებერვალი

**60 კგ**

1 ნამ სუკ ჩო (ს. კორეა)
2 ჰიროაკი ჰიროაკა (იაპონია)
3 კირილ სოიერი (საფრანგეთი)
3 არმენ ნაზარიანი (სომხეთი)
7 *ბეთქილ შუკვანი (საქართველო)*

**66 კგ**

1 ჟოაო დერლი (ბრაზილია)
2 ჰიროუკი აკიმოტო (იაპონია)
3 მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
3 ხავიერ დელგადო (ესპანეთი)
13 *ნესტორ ხერგიანი (საქართველო)*

**73 კგ**

1 გეორგი გეორგიევი (ბულგარეთი)
2 სალამუ მეჟიდოვი (რუსეთი)
3 დირკ ვან ტიჩელტი (ბელგია)
3 ვონ-ჰი ლი (ს. კორეა)
7 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
19 დავით კუპრაშვილი (საქართველო)

**81 კგ**

1 ჯუზეპე მადალონი (იტალია)
2 დაე ნამ სონგი (ს. კორეა)
3 რობერტ კრავჩუკი (პოლონეთი)
3 ტაკაში ონო (იაპონია)
7 *გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)*
9 *გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)*

**90 კგ**

1 ჰი-ტაე ჰვანგი (ს. კორეა)
2 მეჰდი ხალდუნი (საფრანგეთი)
3 ფრედერიკ დემონფოკო (საფრანგეთი)
3 სერგეი კუხარენკა (ბელარუსი)
13 *ბესიკ ტყემალაძე (საქართველო)*

**100 კგ**

1 რუსლან გასიმოვი (რუსეთი)
2 კვანგ-სუნ იო (ს. კორეა)
3 ვიტალი ბუბონი (უკრაინა)
3 ტაკამასა ანაი (იაპონია)
5 *გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)*
13 *ლევან რაზმაძე (საქართველო)*

**+100 კგ**

1 იოჰეი ტაკაი (იაპონია)
2 *ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)*
3 ვიტალი პოლინსკი (უკრაინა)
3 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
7 *ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)*

# მილიონერი ისევ აფრინდა, მარტო გაფრინდა და რეკორდით ჩამოფრინდა





**ამერიკელი** მილიონერი სტივ ფოსეტი არა და არ ისვენებს. 61 წლისაა, მაგრამ რეკორდებს უტევს და თავისივე მიღწევებს აუმჯობესებს. ხან წყალშია, ხან ცაში, ხან საჰაერო ბურთით ამყარებს რეკორდებს, ხან აფრიანი ნავით, მერე ცაში აჭრილი თვითმფრინავით აუმჯობესებს თავისივე მიღწევებს და იქიდან დაშვებული ახლა სწრაფმავალ კატარღაზე ჯდება და... კვლავ რეკორდებს უტევს.

ერთი სიტყვით, ფოსეტი უამრავი მსოფლიოს რეკორდის ავტორია წყალსა თუ ცაში.

ბარემ აქვე დავაზუსტოთ: ფოსეტმა 102 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, რომელთაგან 62 დღემდე ვერავინ გააუმჯობესა.

ფოსეტმა რეკორდების დევნა მას მერე დაიწყო, რაც ჩიკაგოს ბირჟაზე თამაშ-თამაშით აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა. მანამდე მან ბოლო მსოფლიოს რეკორდი შარშან მარტში თავისი უცნაური კონსტრუქციის ერთადგილიანი თვითმფრინავით VERGIN GLOBALFLYER დაამყარა, როცა გახდა პირველი ადამიანი, ვინც მარტოდმარტომ, საწვავის შეუვსებლად და შეუჩერებლად დედამიწას შემოუფრინა — 62 საათში, 2 წუთსა და 37 წამში 37 ათასი კილომეტრი დაფარა.

და აი, ფოსეტი ოთხშაბათს კვლავ აფრინდა და შეუსვენებლად და საწვავის შეუვსებლად დედამიწის შემოსაფრენად ლაჟვარდოვან გზას გაუდგა, რათა ფრენის სიშორის რეკორდი დაემყარებინა — ძველი რეკორდი 1986 წელს დიკ რუტანმა და ჯინ იეგერმა დაამყარეს, როცა თავიანთი VOYAGER-ით 40 212 კილომეტრი უკან მოიტოვეს.

ახლა ფოსეტმა ეს რეკორდი მარტოდმარტომ გააუმჯობესა.

ფოსეტმა სტარტი აიღო ამერიკის კანავერალის კოსმოდრომიდან და მისი GLOBALFLYER გახდა კერძო კომპანიების მიერ დამზადებული პირველი თვითმფრინავი, რომელსაც ამ ბაზიდან აფრენის უფლება მისცეს.

თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით განვითარდება, ფოსეტი ცაში 80 საათს გაატარებს და ინგლისის საგრაფო კენტში დაეშვება. ასეთ შემთხვევაში ფოსეტი დედამიწას გარშემო შემოუფრენს, მეორედ გადალახავს ატლანტიკის ოკეანეს და მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 40 ათას კილომეტრსო, იუწყებოდნენ საინფორმაციო წყაროები.

ფოსეტს სტარტი სამშაბათს უნდა აეღო, მაგრამ ავზიდან საწვავის გაშვების გამო იგი ერთი დღე-ღამით გადაიოდო, ოთხშაბათს კი აფრინდა და საკვებად მხოლოდ დიეტური რძის კოქტეილები გაიყოლა, რათა თვითმფრინავი არ დაემძიმებინა.

იმ ოთხმოცი საათის განმავლობაში, რომელსაც მილიონერი ცაში გაატარებდა, ფოსეტი ფიქრობდა, რომ ხუთწუთიან ინტერვალზე მეტი დროით დასვენებას ვერ შევძლებო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო და ფოსეტს ამ ფრენისას თვალი საერთოდ არ მოუხუჭავს.

ჯერ იყო და სადღაც ინდოეთის თავზე ციკლონი დაატყდა, მერე კი, თითქმის ფრენის დასასრულს იძულებითი დაჯდომა მოუხდა ინგლისის სამხრეთით, როცა ელექტროალჭურვილობა მწყობრიდან გამოვიდა. თითქოს ეს არ ეყოო და დაშვებისას შასიზე ორი საბურავი გაუსკდა, თანაც თვითმფრინავის წინა მინაც მთლიანად დაეფარა ყინულს. მიუხედავად ამისა, ფოსეტმა მიზანს მიაღწია და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 42 469 კმ. ამას კი 76 საათი და 45 წუთი მოანდომა.

„ეს ძალიან ძნელი ფრენა იყო. გამიმართლა, რომ ბოლომდე მივაღწიე" — თქვა სტივ ფოსეტმა, რომელსაც თვითმფრინავიდან გადმოყვანისთანავე ცოლი შეეგება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**სიეტლი 99:91 ატლანტა**

**სიეტლი:** რიდნორი (9), ალენი (22), ლუისი (2), კოლისონი (17 ქულა, 15 მოხსნა), სვიფტი (6 ქულა, 13 მოხსნა); უილკინსი (26), პეტრო (8), რადმანოვიჩი (5), მიურეი (4)

**ატლანტა:** აივი (2), ჯონსონი (10 ქულა, 11 პასი), სმიტი (2), ჰარინგტონი (26), **ფაჩულია** (36 წუთი, 17 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება); ჩილდრესი (17), სტუდემაიერი (12), უილამსი (4), ბატისტა (1)

**ფინიქსი 112:104 საკრამენტო**

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ორლანდო 73:84 დეტროიტი**

**შარლოტი 73:88 ტორონტო**

**ნიუ ჯერსი 73:83 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი 111:100 ნიუ იორკი**

**კლიპერსი 91:87 მემფისი**

**დენვერი 113:104 დალასი**

**მინესოტა 80:94 იუტა**

**ინდიანა 107:95 გოლდე სტეიტი**

**ბოსტონი 115:83 პორტლენდი**

**ვაშინგტონი 101:99 კლივლენდი**

11 თებერვალი

**კლივლენდი 91:99 გ. სტეიტი**

**ჰიუსტონი 102:88 იუტა**

**ლეიკერსი 99:100 მემფისი**

**მინესოტა 92:100 ნიუ ორლეანი**

**მილუოკი 99:93 შარლოტი**

**აღმოსავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 26 | 22 | 54,2 |
| ფილადელფია | 24 | 25 | 49,0 |
| ბოსტონი | 19 | 31 | 38,0 |
| ტორონტო | 18 | 32 | 36,0 |
| ნიუ იორკი | 14 | 35 | 28,6 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 41 | 8 | 83,7 |
| კლივლენდი | 29 | 21 | 58,0 |
| ინდიანა | 25 | 22 | 53,2 |
| მილუოკი | 26 | 23 | 53,1 |
| ჩიკაგო | 21 | 28 | 42,9 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 30 | 20 | 60,0 |
| ვაშინგტონი | 25 | 23 | 52,1 |
| ორლანდო | 19 | 29 | 39,6 |
| ატლანტა | 15 | 33 | 31,3 |
| შარლოტი | 14 | 38 | 26,9 |

**დასავლეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 39 | 10 | 79,6 |
| დალასი | 39 | 11 | 78,0 |
| ნიუ ორლეანი | 27 | 23 | 54,0 |
| მემფისი | 27 | 23 | 54,0 |
| ჰიუსტონი | 20 | 30 | 40,0 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| დენვერი | 27 | 25 | 51,9 |
| იუტა | 25 | 26 | 49,0 |
| მინესოტა | 22 | 28 | 44,0 |
| სიეტლი | 20 | 30 | 40,0 |
| პორტლენდი | 17 | 31 | 35,4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 33 | 17 | 66,0 |
| კლიპერსი | 30 | 18 | 62,5 |
| ლეიკერსი | 25 | 25 | 50,0 |
| გ. სტეიტი | 23 | 27 | 46,0 |
| საკრამენტო | 22 | 28 | 44,0 |

## რაგბი

## ზე-თოთხმეტი

**პირველი ტური**

10 თებერვალი

ოკლენდი

**ბლუზი 19:37 ჰარიკეინზი**

პერთი

**ფორსი 10:25 ბრამბისი**

ბლუმფონტეინი

**ჩიტასი 18:30 ბულზი**

11 თებერვალი

ქრაისთჩერჩი

**ქრუზეიდერსი 38:15 ჰაილენდერზი**

ბრისბეინი

**რედსი 12:16 კარატასი**

იოჰანესბურგი

**ქეთსი 12:23 სტორმერსი**

დურბანი

**შარკსი 30:21 ჩიფსი**

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**ფილადელფია 5:4 ვაშინგტონი**

*1:2 4:1 0:1*

1:0 განიე (6), 1:1 საზერბი (10), 1:2 უილსი (11), 2:2 ბრაშირი (22), 3:2 კაპანენი (26), 4:2 სავაჟი (31), 5:2 სავაჟი (33), 5:3 ოვეჩკინი (36), 5:4 ზუბრუსი (53)

**კოლუმბუსი 1:4 კოლორადო**

*1:1 0:0 0:3*

0:1 ლააქსონენი (1), 1:1 პრდინა (11), 1:2 სვატოში (42), 1:3 სვატოში (44), 1:4 რიჩარდსონი (60)

**რეინჯერსი 4:2 ტორონტო**

*0:1 4:1 0:0*

0:1 კილგერი (9), 1:1 იაგრი (22), 1:2 ტაკერი (23), 2:2 იაგრი (25), 3:2 პოტი (28), 4:2 სიკორა (32)

**კაროლინა 3:4 პიტსბურგი**

*1:1 1:2 1:1*

0:1 ბოგუნიცკი (8), 1:1 სტაალი (20), 1:2 რეკი (21), 2:2 სტილმანი (26), 2:3 ლეკლერი (40), 2:4 კროსბი (42), 3:4 სტაალი (57)

**ედმონტონი 3:6 მინესოტა**

*0:3 2:2 1:1*

0:1 მ. შუინარი (9), 0:2 ბუშარი (19), 0:3 ბუშარი (20), 1:3 ტორესი (24), 2:3 დვორჟაკი (28), 2:4 დიუპუი (32), 2:5 ზიუზინი (40), 3:5 ჰარვი (49), 3:6 ულცი (59)

**კალგარი 3:2 სენტ ლუისი**

*1:1 1:0 0:1 1:0*

0:1 უადმენი (4), 1:1 ფანიოფი (5), 2:1 ფერენსი (36), 2:2 გლუმაკი (41), 3:2 ფანიოფი (63)

**ვანკუვერი 1:3 ანაჰაიმი**

*1:3 0:0 0:0*

0:1 დიპენტა (6), 0:2 მაკდონალდი (11), 0:3 ლუპული (18), 1:3 ნესლუნდი (20)

**სან ხოსე 6:3 დალასი**

*1:1 4:0 1:2*

0:1 მოდანო (7), 1:1 ჯ. ტორნტონი (16), 2:1 ჩიჩუ (26), 3:1 ჩიჩუ (0), 4:1 მიხალეკი (35), 5:1 მაკოლი (37), 5:2 ჰაგმანი (47), 5:3 ბარნსი (47), 6:3 მიხალეკი (59)

11 თებერვალი

**ლოს ანჯელესი 5:4 ჩიკაგო**

*2:1 2:1 0:2 1:0*

1:0 დემიტრა (9), 1:1 სიბრუკი (10), 2:1 კოსტოპულოსი (18), 3:1 კონროი (22), 3:2 ბურკი (23), 4:2 ბელანჟე (38), 4:3 არნასონი (47), 4:4 ლაპოინტა (50), 5:4 კორვო (61)

**ტორონტო 2:4 რეინჯერსი**

*0:1 1:3 1:0*

0:1 იაგრი (13), 0:2 სიკორა (26), 0:3 იაგრი (28), 0:4 რუჩინსკი (33), 1:4 მაკეიბი (40), 2:4 ელისონი (43)

**მონრეალი 1:2 ატლანტა**

*0:1 1:0 0:0 0:1*

*ბულიტების სერიაში*

0:1 ლარსენი (4), 1:1 ბულისი (23), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: კოზლოვი

**ვაშინგტონი 3:6 პიტსბურგი**

*0:1 0:4 3:1*

0:1 კროსბი (19), 0:2 ლეკლერი (22), 0:3 გონჩარი (25), 0:4 არმსტრონგი (29), 0:5 რეკი (35), 1:5 პეტინგერი (47), 1:6 ბოგუნიცკი (50), 2:6 ოვეჩკინი (51), 3:6 საზერბი (60)

**ნიუ ჯერსი 1:2 აილენდერსი**

*1:1 0:1 0:0*

0:1 ბლეიკი (13), 1:1 ბრილინი (20), 1:2 იაშინი (31)

**ბოსტონი 5:6 ტამპა**

*3:1 1:2 1:3*

0:1 ფედოტენკო (5), 1:1 ბერჟერონი (6), 2:1 ბერჟერონი (12), 3:1 ფიცჯერალდი (13), 3:2 პროსპალი (30), 3:3 აფანასენკოვი (31), 4:3 მიურეი (38), 4:4 აფანასენკოვი (44), 5:4 ლაკუტიური (48), 5:5 კრეიგი (51), 5:6 პროსპალი (54)

**ოტავა 3:2 ფილადელფია**

*2:0 1:2 0:0*

1:0 ვერმეტი (9), 2:0 ვარადა (14), 3:0 ჰიტლი (21), 3:1 განიე (34), 3:2 ბრაშირი (37)

**ბუფალო 5:3 ფლორიდა**

*1:0 2:2 2:1*

1:0 დიუმონი (18), 2:0 ნოვოტნი (26), 2:1 გრეტონი (31), 2:2 სიმი (37), 3:2 ვანეკი (40), 4:2 ვანეკი (45), 5:2 პომინვილი (57), 5:3 ვან რინი (57)

**კოლუმბუსი 2:5 ნეშვილი**

*2:3 0:1 0:1*

0:1 ჟიდლიცკი (3), 1:1 ნეში (4), 2:1 ჟერდევი (5), 2:2 ჟიდლიცკი (13), 2:3 აპშოლი (18), 2:4 ერატი (37), 2:5 ტიმონენი (54)

## მძლეოსნობა

# ისინბაევამ მორიგი გამოაცხო

*ელენა ისინბაევამ მორიგი რეკორდი დაამყარა. დონეცკში ჩატარებულ „ჭოკის ვარსკვლავთა" ტურნირზე ისინბაევა 4,91 მეტრს გადაევლო და ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე, 2005 წლის 6 მარტს მადრიდში დამყარებული რეკორდი. თუმცა, ესეც სათქმელია, რომ ეს რეკორდი დარბაზებისთვისაა საუკეთესო.*



გიო ახვლედიანის

სვეტი

# პარასკევ ღამის ამბავი

ბიატლონის შეჯიბრი, რა თქმა უნდა, საინტერესოა. ბობსლეიც, ჰოკეიზე ალარაფერს ვამბობ, ისეთი ხალხი ტრიალებს ყინულზე, რომ პატივისცემის მეტს ვერაფერს გაივლებ გულში.

ოლონდაც, მინდა ვთქვა, რომ ოლიმპიადის გახსნა ძალიან მაგარი იყო.

იქ იტალია ჩანდა და ისე ზუსტად ჩანდა, რომ მთელი ეს შუქის ეფექტები და სხვა რამეები სულაც არ იყო მნიშვნელოვანი, თანაც, იქ იტალია უბრალოდ კი არ ჩანდა, აქაოდა, წარმოდგენაა და რაც გვაქვს საამაყო, რაც შეგვიძლია და არ შეგვიძლია, ამ საღამოს უნდა გამოვავლინოთო, არამედ ბუნებრივად.

იტალიაში არსებობს ფეხბურთი — ბევრი დაეჩვია, რომ იტალია ფეხბურთია.

ფეხბურთი სასაცილოა იმასთან შედარებით, რაც იტალია გახლავს თავისი არსით და ოლიმპიადის გახსნის დამდგმელებმა ეს ძალიან კარგად იცოდნენ.

„სტადიო კომუნალეს“, აწ „ოლიმპიკოს“ თავზე მოლივლივე მზე და მთვარე, ხუთმეტრიანი „ღვთაებრივი კომედიის“ ტომი, მარინეტის მანიფესტი, მედრონეთა შვიდასწლოვანი ხელობა, ნიჟარიდან ამოზრდილი ვენერა, სხვა ათასი რამ... მე არ გამიკვირდებოდა, იქ უცებ ჯაკომო კაზანოვა შემობრდიალებულიყო, ანდა მედიჩებს ოქროთი სავსე ქისები მოებნიათ მოედანზე. ასე რომ მომხდარიყო, ის ოხერი ჯაკომოც, და ვინჩიც, გველფებიც და გიბელინებიც ნამდვილები იქნებოდნენ, კოლუმბიცა და პირანდელოც, რადგან იტალიას არა აქვს დრო, იტალიას აქვს მარადისობა.

მგონი, ეს იყო ერთადერთი გახსნა ზამთარ-ზაფხულთა ოლიმპიადების ისტორიაში, რომელსაც სპორტი, როგორც ასეთი, საერთოდ არაფერში სჭირდებოდა. ეს იყო ნამდვილი ოპერა, რომელიც მიგახვედრებდა, თუ რატომ აცვია დღეს მსოფლიოს იტალიური, რატომ მიირთმევს იტალიურს და რატომ მღერის იტალიურად... და ასე დაუსრულებლად.

თვით ლუკა ბადოერის ბლუილიც თავისი ურჩხულ მანქანით კაცს ფორმულას კი არ გაახსენებდა, არამედ სულ სხვა რაღაცას– რას, გრძელი სალაპარაკოა, თანაც ძალიან ახირებული.

მოკლედ, ასე მგონია.

დანარჩენისა კი, რა ვიცი, ყველა თავის იტალიას ხედავს. უბრალოდ, იტალია უკიდეგანოა და რაც მეტს დაინახავ, უკეთესია. პარასკევს ღამით ამ უკიდეგანობის დახატვას შეეცადნენ.

მაგრამ როგორ დახატავ უკიდეგანობას?

# შენ დანახვაზე თოვლი გაფითრდა

*მას, ვინც ტურინის ზამრთის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალს თვალი ადევნა, ალბათ თვალში მოხვდებოდა ერთი მეტად ეგზოტიკური ვარცხნილობის შავკანიანი სპორტსმენი, რომელიც ეთიოპიელთა დელეგაციას მედროშედ მოუძღოდა. თუმცა, მედროშეც ის იყო და გუნდის ერთადერთი სპორტსმენიც, რომელიც სათხილამურო რბოლებში აპირებს გამოსვლას. ეს გახლავთ რობელ ტეკლემარიამი*



„მე თუ მკითხავთ, ინგლისელს ავირჩევდი. რად გინდათ უცხოელი? — შენიშნა ვენგერმა — მეც შემომთავაზეს ასეთი რამ, მაგრამ ყოველთვის ასე ვპასუხობ: ეროვნული ნაკრები მხოლოდ ფეხბურთი არ არის, ეს კულტურაა და სიამაყეა. ყველაფერი ერთადაა. ამის შეგრძნობა სრულად მხოლოდ მაშინ შეგიძლია, როცა ამ ქვეყნის შვილი ხარ. ფეხბურთში კი არ არის საქმე, არამედ ეროვნული შეგრძნებებში...

ვენგერს ასეთი აზრი აქვს და ამ კვირაში ფეხბურთის ასოციაციის ბოსი ბრაიან ბერვიკი მას და ალექს ფერგიუსონს საკონსულტაციოდ იწვევს, რათა დაეკითხოს მომავალი მწვრთნელის თაობაზე.

წინა კვირაში კი პრემიერლიგის თავმჯდომარემ დეივ რიჩარდსმა განაცხადა, რომ ნაკრების თავკაცი ბრიტანელი იქნება, რაც ირლანდიელსაც გულისხმობს, სქოთსაც, უელსელსაც და ინგლისელსაც. ამ ერებს, ინგლისელები „შინაურ ერებს“ უწოდებენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მარადონა გადარჩა. შენ როგორ ხარ, ამიგო?



**დიეგო მარადონას** ბუენოს აირესში კინაღამ უბედურება შეემთხვა. მისი მანქანა მატადეროს უბანში სატელეფონო ჯიხურს შეასკდა და დიეგოს ორი მეგობარიც ჰოსპიტალში გააქანეს. თავად მარადონა არც გაკაწრულა და ის ორი ამიგოც მალე გამოიყვანეს საავადმყოფოდან — მსუბუქად დაშავებულებს ოდენ სალბუნები დაადეს და მორჩა. „მანქანაში სამნი ვიყავით, საჭესთან კი დიეგო იჯდა. წვიმისგან დასველებული ასფალტის გამო მოვცურდით, თუმც, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობანად დასრულდა“ — უთხრა არგენტინულ მედიას ერთ-ერთმა დაზარალებულმა. მარადონამ ავარიის მერე თავის აგენტ ალეხანდრო მანკუსოს მიაკითხა სახლში, მცირე ხნის შემდეგ კი „პარკე როკას“ კორტებზე მივიდა — ახლა დამსხვრეულ მანქანაზე ფიქრის დრო არ არის, დევისის თასის შესარჩევში შვედეთის გუნდთან ნალბანდიანს უნდა ვუქომაგოო...

**ლადო ხომერიკი**

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXIV ტური

**სპარტა 0:1 ალკმაარი**

0:1 პერესი (90)

ალკმაარი: ტიმერი, სტეინსონი, მატიისენი, ოპდამი (დე ზეუვი 46), დე კლერი, ლანძაატი, მოლოეკი, მეერდინკი (იკედია 58), ჰიუსეგემსი, კ. პერესი, არველაძე (კოევერმანსი 58)

**პსვ 1:0 ჰერაკლესი**

1:0 ფარფანი (71)

**ჰერენვენი 4:1 ვიტესი**

0:1 იუნკერი (7), 1:1 ილდირიმი (19), 2:1 ბოსველტი (49), 3:1 ნილსონი (60), 4:1 ილდირიმი (75)

**ტვენტე 1:0 როდა**

1:0 ზომერი (4)

**ვალვაიკი 1:0 ტილბურგი**

1:0 ი. იანსენი (85)

**დენ ჰააგი 1:2 აიაქსი**

0:1 გრიგერა (30), 1:1 მოლსი (34), 1:2 ჰუნტელაარი (55)

**უტრეხტი 1:1 ნაიმეგენი**

1:0 კალუვე (22), 1:1 ვორმი (49)

**ბრედა 3:3 ფეიენოორდი**

0:1 ს. კალუ (7), 1:1 დიბა (24), 1:2 ს. კალუ (35), 1:3 კასტელენი (71), 2:3 დიბა (90), 3:3 ჟენერი (90)

**როზენდალი 1:2 გრონინგენი**

0:1 ნევლანდი (42), 1:1 სილა (53), 1:2 კორნელისე (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 19 | 3 | 2 | 48:15 | 60 |
| ალკმაარი | 24 | 17 | 4 | 3 | 61:21 | 55 |
| ფეიენოორდი | 24 | 17 | 4 | 3 | 62:25 | 55 |
| ჰერენვენი | 24 | 11 | 7 | 6 | 48:34 | 40 |
| აიაქსი | 24 | 12 | 4 | 8 | 40:31 | 40 |
| გრონინგენი | 24 | 12 | 4 | 8 | 32:27 | 40 |
| ნაიმეგენი | 24 | 11 | 6 | 7 | 33:26 | 39 |
| უტრეხტი | 24 | 10 | 7 | 7 | 34:30 | 37 |
| ვალვაიკი | 24 | 10 | 4 | 10 | 38:41 | 34 |
| ვიტესი | 24 | 10 | 3 | 11 | 36:37 | 33 |
| ტვენტე | 24 | 9 | 4 | 11 | 31:28 | 31 |
| როდა | 24 | 9 | 2 | 13 | 35:43 | 29 |
| ჰერაკლესი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:43 | 27 |
| ბრედა | 24 | 6 | 7 | 11 | 31:43 | 25 |
| სპარტა | 24 | 6 | 6 | 12 | 19:30 | 24 |
| დენ ჰააგი | 24 | 5 | 3 | 16 | 23:50 | 18 |
| ტილბურგი | 24 | 3 | 5 | 16 | 24:49 | 14 |
| როზენდალი | 24 | 0 | 5 | 19 | 14:60 | 5 |

### II დივიზიონი. XXIX ტური

ჰაარლემი — ვენლო 2:0; ზვოლე — სიტარდი 3:0; ოსი — კამბური 1:0; მაასტრიხტი — ტელსტარი 3:4; ჰელმონდი — აპელდორნი 1:2; ვეენდამი — ეინდჰოვენი 2:1; დორდრეხტი — დენ ბოსხი 2:2; ალმერე — ემენი 3:4; ვოლენდამი — ექსელსიორი 0:0; გრააფსხაპი — იგლსი 2:2

## შვეიცარია

### სუპერლიგა. XIX ტური

აარაუ — გრასჰოპერი 1:0; ქსამაქსი — თუნი 0:0; შაფჰაუზენი — სენტ გალენი 1:3; იანგ ბოისი — ივერდონი 2:1; ციურიხი — ბაზელი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 19 | 13 | 4 | 2 | 48:23 | 43 |
| ციურიხი | 19 | 10 | 5 | 4 | 46:25 | 35 |
| იანგ ბოისი | 19 | 8 | 7 | 4 | 28:25 | 31 |
| გრასჰოპერი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:19 | 30 |
| სენტ გალენი | 19 | 7 | 4 | 8 | 32:29 | 25 |
| თუნი | 19 | 7 | 4 | 8 | 30:33 | 25 |
| ივერდონი | 19 | 6 | 3 | 10 | 25:32 | 21 |
| აარაუ | 19 | 5 | 4 | 10 | 15:33 | 19 |
| ქსამაქსი | 19 | 5 | 3 | 11 | 24:41 | 18 |
| შაფჰაუზენი | 19 | 4 | 4 | 11 | 16:31 | 16 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XXII ტური

**აკადემიკა 0:2 ბოავიშტა**

0:1, 0:2 ჟოაუ პინტუ (44, 77)

**ბელენენსეში 0:2 პორტუ**

0:1, 0:2 ანტონიო კარლოსი (43, 52)

**ბრაგა 1:1 ამადორა**

0:1 ა. ბარეტო (33), 1:1 ჟოაუ ტომაში (52)

**ნასიონალი 1:4 ლეირია**

0:1 ალანდრა (16), 0:2 პ. სეზარი (28), 0:3 პ. ანდრადე (34), 1:3 ალეშანდრე (45), 1:4 მასიელი (69)

**ფერეირა 1:0 ჟილ ვისენტე**

1:0 ბაჰია (7)

**რიუ ავე 0:1 ნავალი**

0:1 პ. ფრანკო (42)

**სეტუბალი 1:2 სპორტინგი**

0:1 კარლუშ მარტინში (35), 0:2 მუტინიუ (62), 1:2 კარლიტუში (873)

**ბენფიკა — პენაფიელი**

*წუხელ გვიან დამთავრდა და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

**მარიტიმუ — გიმარაეში**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 22 | 14 | 6 | 2 | 34:13 | 48 |
| სპორტინგი | 22 | 13 | 4 | 5 | 33:22 | 43 |
| ბრაგა | 22 | 12 | 5 | 5 | 23:13 | 41 |
| ბენფიკა | 21 | 12 | 4 | 5 | 33:19 | 40 |
| ნასიონალი | 22 | 11 | 6 | 5 | 27:16 | 39 |
| ბოავიშტა | 22 | 10 | 8 | 4 | 31:19 | 38 |
| სეტუბალი | 22 | 10 | 3 | 9 | 17:18 | 33 |
| ლეირია | 22 | 9 | 4 | 9 | 31:30 | 31 |
| მარიტიმუ | 21 | 6 | 9 | 6 | 27:25 | 27 |
| ამადორა | 22 | 7 | 6 | 9 | 18:21 | 27 |
| რიუ ავე | 22 | 6 | 8 | 8 | 24:28 | 26 |
| აკადემიკა | 22 | 7 | 5 | 10 | 20:28 | 26 |
| ბელენენსეში | 22 | 7 | 4 | 11 | 26:26 | 25 |
| ფერეირა | 22 | 7 | 4 | 11 | 22:31 | 25 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 7 | 3 | 12 | 22:26 | 24 |
| ნავალი | 22 | 6 | 3 | 13 | 21:32 | 21 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 5 | 12 | 12:29 | 17 |
| პენაფიელი | 21 | 2 | 5 | 14 | 15:40 | 11 |

### II დივიზიონი. XXII ტური

პორტიმონენსე — ავეში 2:2; შავეში — ბარეირენსე 3:1; მორეირენსე — გონდომარი 2:0; ვარზიმი — ლეიშოეში 2:1; ოლიალენსე — ეშტორილი 0:0; ბეირა მარი — მარკუ 3:2; ოვაირენსე — კოვილია 1:2; სანტა კლარა — მაია 4:1; ფეირენსე — ვიზელა 5:0

## თურქეთი

### სუპერლიგა. XX ტური

დიარბაქირი — ბეშიქთაში 1:3; ერჯიესი — ანკარაგიუჯიუ 1:2; სამსუნი — ფენერბაჰჩე 0:5; მანისა — სივა 3:1; დენიზლი — კონია 5:2; გალათასარაი — გაზიანთეფი 6:0; გენჩლერი — ქაისერი 3:2; რიზე — ანკარა 1:1; ტრაბზონი — მალათია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 20 | 16 | 4 | 0 | 52:18 | 52. |
| გალათასარაი | 20 | 15 | 3 | 2 | 47:18 | 48 |
| ქაისერი | 20 | 10 | 3 | 7 | 38:29 | 33 |
| ბეშიქთაში | 20 | 9 | 5 | 6 | 31:23 | 32 |
| ტრაბზონი | 20 | 8 | 5 | 7 | 26:29 | 29 |
| გენჩლერი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:19 | 28 |
| მანისა | 20 | 7 | 6 | 7 | 27:25 | 27 |
| სივასფორი | 20 | 6 | 8 | 6 | 20:23 | 26 |
| კონია | 20 | 6 | 7 | 7 | 26:24 | 25 |
| ერჯიესი | 20 | 5 | 9 | 6 | 20:25 | 24 |
| ანკარაგიუჯიუ | 20 | 5 | 7 | 8 | 22:26 | 22 |
| გაზიანთეფი | 19 | 5 | 7 | 7 | 23:34 | 22 |
| დენიზლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22:30 | 20 |
| რიზე | 20 | 4 | 8 | 8 | 17:25 | 20 |
| ანკარა | 20 | 3 | 10 | 7 | 27:31 | 19 |
| მალათია | 20 | 4 | 7 | 9 | 15:29 | 19 |
| დიარბაქირი | 20 | 5 | 4 | 11 | 20:38 | 19 |
| სამსუნი | 19 | 4 | 5 | 10 | 30:42 | 17 |

## ბელგია

### იუპილერლიგა. XXII ტური

**სენტ ტრუიდენი 2:2 ბრიუგე**

0:1 კლემანი (6), 1:1 ბუვენსი (58), 2:1 რ. პეეტერსი (72), 2:2 დუფერი (89)

**ბევერენი 0:2 სტანდარდი**

0:1 რაპაიჩი (59), 0:2 ნიკულაე (80)

**სერკლი 1:0 ლუვიე**

1:0 პივალიევიჩი (25)

**ბეერსხოტი 2:0 ვარეგემი**

1:0 ვან დერ ვეერდენი (9), 2:0 დოსუნმო (38)

**ლიერსი 2:0 ლოკერენი**

1:0 ა. ნუნიესი (23), 2:0 უილსი (30)

**მუსკრონი 0:1 ანდერლეხტი**

0:1 ფრუტოსი (59)

**გენკი 2:1 გენტი**

1:0 ბ. პეეტერსი (45), 2:0 ლომბარტსი (64ს.კ.), 2:1 სმოიე (80)

**რუზელარე — შარლერუა**

*გადაიდო*

**ბრიუსელი — ვესტერლო**

*გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 22 | 12 | 7 | 3 | 47:22 | 43 |
| ბრიუგე | 22 | 12 | 7 | 3 | 37:21 | 43 |
| სტანდარდი | 21 | 13 | 3 | 5 | 33:19 | 42 |
| გენკი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:28 | 37 |
| ვარეგემი | 22 | 11 | 4 | 7 | 41:34 | 37 |
| გენტი | 22 | 10 | 4 | 8 | 30:27 | 34 |
| ვესტერლო | 21 | 9 | 5 | 7 | 28:24 | 32 |
| ლოკერენი | 22 | 8 | 8 | 6 | 31:31 | 32 |
| შარლერუა | 21 | 8 | 6 | 7 | 22:25 | 30 |
| ბრიუსელი | 21 | 7 | 8 | 6 | 24:22 | 29 |
| ბეერსხოტი | 22 | 8 | 3 | 11 | 30:36 | 27 |
| რუზელარე | 21 | 6 | 8 | 7 | 33:27 | 26 |
| სერკლი | 22 | 7 | 4 | 11 | 28:36 | 25 |
| მუსკრონი | 22 | 7 | 2 | 13 | 31:35 | 23 |
| ბევერენი | 22 | 6 | 3 | 13 | 25:36 | 21 |
| სენტ ტრუიდენი | 22 | 4 | 7 | 11 | 22:33 | 19 |
| ლუვიე | 21 | 4 | 7 | 10 | 19:38 | 19 |
| ლიერსი | 22 | 3 | 7 | 12 | 13:37 | 16 |

### II კლასი. XXII ტური

ტუბეკე — ეუპენი 5:1; ვირტონი — ლომელი 1:1; მონსი — ვაასლანდი 2:2; დაინცე — კორტრაიკი 2:1; ოსტენდე — მეხელენი 2:1; გეელი — ოუდ ევერლე 0:0. *სენტ ჟილი — ჰეუსდენი, ვიგორი — დესელი და რონსე — ანტვერპენი გადაიდო*

## საბერძნეთი

### ეროვნული ლიგა. XIX ტური

კალითეა — იონიკოსი 3:3; ირაკლისი — ოფი 2:0; პანიონიოსი — პანათინაიკოსი 2:4; ლევადიაკოსი — ქსანთი 0:2; ეგალეო — პაოკ 1:0; ატრომიტოსი — კალამარია 1:1; აეკ — ლარისა 1:0. *აკრატიტოსი — ოლიმპიაკოსი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 16 | 0 | 2 | 40:12 | 48 |
| აეკ | 19 | 14 | 3 | 2 | 26:12 | 45 |
| პანათინაიკოსი | 19 | 12 | 3 | 4 | 33:17 | 39 |
| ირაკლისი | 19 | 9 | 4 | 6 | 23:18 | 31 |
| პაოკ | 19 | 8 | 6 | 5 | 28:18 | 30 |
| ქსანთი | 19 | 8 | 5 | 6 | 22:17 | 29 |
| ეგალეო | 19 | 7 | 7 | 5 | 17:19 | 28 |
| ატრომიტოსი | 19 | 7 | 5 | 7 | 21:20 | 26 |
| იონიკოსი | 19 | 5 | 8 | 6 | 24:24 | 23 |
| ლარისა | 19 | 6 | 5 | 8 | 20:24 | 23 |
| კალამარია | 19 | 6 | 5 | 8 | 19:25 | 23 |
| ლევადიაკოსი | 19 | 4 | 5 | 10 | 11:21 | 17 |
| პანიონიოსი | 19 | 4 | 3 | 12 | 16:32 | 15 |
| ოფი | 19 | 2 | 8 | 9 | 10:23 | 14 |
| კალითეა | 19 | 2 | 7 | 10 | 16:28 | 13 |
| აკრატიტოსი | 18 | 2 | 4 | 12 | 9:25 | 10 |

## იტალია
## სერია A XXV ტური

### ინტერი 1:2 იუვენტუსი

0:1 იბრაჰიმოვიჩი (63), 1:1 სამუელი (74), 1:2 დელ პიერო (85)
ინტერი: ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, კორდობა, ვ. სამუელი, ბურდისო, ფიგუ, ვერონი (კილი გონსალესი 36), კამბიასო, დ. სტანკოვიჩი, ადრიანო (რეკობა 83), მარტინსი (ხ. კრუზი 72)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
იუვენტუსი: ბუფონი, ბალძარეტი, ტურამი, ფ. კანავარო, კიელინი (ბლაზი 89), კამორანეზი (მუტუ 76), ემერსონი, ვიეირა, ნედვედი, ტრეზეგე, იბრაჰიმოვიჩი (დელ პიერო 70)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: იბრაჰიმოვიჩი, კიელინი, სამუელი, ბუფონი, კამბიასო
მსაჯი: პაპარესტა
82 000 მაყურებელი

# ო, რა ცუდია თავისუფლება


AFP მილანიდან

ჟულიო სეზარი უძლური იყო: ალესანდრო დელ პიერომ აუღებელი დაარტყა

**საინტერესოა**: იტალიური სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს მატჩში „იუვენტუსის" წინააღმდეგ, „ინტერმა" სასტარტო შემადგენლობაში თერთმეტივე უცხოელი ათამაშა და შემდეგ, მატჩის მსვლელობისას, კიდევ სამი „საზღვარგარეთული" შეცვლა დაამატა — ასეთია თანამედროვე საკლუბო ფეხბურთი ევროკავშირში.

„იუვენტუსმა" კი 2:1 მოიგო და ცხრილში ორივე მილანელ მდევარს თორმეტი ქულით უსწრებს. მატჩის ბედი შეცვლაზე შესულმა ალესანდრო დელ პიერომ 85-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით შეცვალა.

რაც შეეხება ჯარიმებს: თანამედროვე ფეხბურთში სტანდარტული სიტუაცია ლამის პენალტივით სახიფათო რომ გახდა, ამ შეხვედრაში, სულ მცირე, სამჯერ დადასტურდა. ერთი დასტურის ამბავი უკვე მოგახსენეთ. მეორე ამის შემდეგ იყო, როდესაც ლუიშ ფიგუმ შეხვედრის სულ მთლად მიწურულს ძელს გაარტყა ბურთი და კინაღამ გაათანაბრა (ძელიდან ასხლეტილს დაუცველი კარის წინ მდგომმა ნიკოლას ანდრე ბურდისომ მიჰკრა თავი, მაგრამ უხერხული მოძრაობა გამოუვიდა და ააცილა), მესამე კი ადრიანოს არჩათვლილი გოლი გახლდათ „იუვენტუსის" კარში. ეს პირველი ტაიმის მიწურულს მოხდა, როდესაც ბრაზილიელ თავდამსხმელს შეეშალა, მსაჯ პაპარესტას ჯარიმა კი არა, თავისუფალი ჰქონდა დანიშნული და „ინტერის" ფეხბურთელებს პირდაპირ დარტყმის ნაცვლად ბურთის გათამაშება მართებდათ.

ანგარიში კი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა 63-ე წუთზე სანიმუშო კონტრშეტევის შედეგად გახსნა: მარჯვნიდან მაურო კამორანეზიმ ერთი შეხებით გაჭრა ბურთით მეტოქის საჯარიმო, სადაც ორ მეტოქეს შორის მყოფმა შვედმა ასევე ერთი შეხებით მიაყოლა ფეხი.

ამ საინტერესო თამაშმა სახიფათო მომენტები სხვაც აჩუქა მაყურებელს. იყო ჯაჯგური და გაწევ-გამოწევაც, რაც სრულებით გასაგები გახლდათ, თამაში ხომ ბევრის აზრით სკუდეტოს ბედს წყვეტდა, თუმცა თეორიულად თორმეტი ქულა ცამეტ ტურში სავსებით შეიძლება გაბათილდეს. ოღონდ ერთია, ნუ დავივიწყებთ, რომ ეს უპირატესობა „იუვენტუსს" აქვს...

# იტალიაში შვიდობა იყო

### რეჯინა 1:4 მილანი

1:0 პარედესი (10), 1:1 ინძაგი (14), 1:2 ჯილარდინო (37), 1:3, 1:4 ინძაგი (52, 90)
რეჯინა: პელიცოლი, მესტო, დე როზა, ჯიოზა, ვიჯანი (ნ. ამორუზო 50), ჯიო ტედესკო, პარედესი, ბიონდინი, მოდესტო, მისიროლი (უნგარო 77), ხუტოსი (კარობიო 70)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
მილანი: დიდა, შიმიჩი (სერჟინიო 30), კოსტაკურტა (ნესტა 64), სტამი, კალაძე, გატუზო, პირლო, რუი კოშტა, კაკა, ჯილარდინო (ზეედორფი 57), ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: გატუზო, ტედესკო, რუი კოშტა, ბიონდინი, ინძაგი
მსაჯი: ტომბოლინი
15 000 მაყურებელი

### ლივორნო 2:0 ფიორენტინა

1:0, 2:0 ლუკარელი (67პ, 76)
*ტონიმ ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე)*
ლივორნო: ამელია, გრანდონი, ვარგასი, გალანტე, ბალერი (სეზარ პრატესი 86), მორონე, პასონი, დე აშენტისი, კოკო (პფერცელი 88), ჯ. კოლუჩი (რუოტოლო 82), კ. ლუკარელი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ფიორენტინა: ლობონტი, უიფალუში, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, ფიორე (ბოჟინოვი 46), პაზიენცა, დონადელი, იორგენსენი (პანკარო 68), ლ. ხიმენესი, ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: მორონე, დონადელი, დაინელი, დაინელი, კოლუჩი
გაძევება: დაინელი (66)
მსაჯი: დე სანტისი
12 000 მაყურებელი

### სიენა 0:2 რომა

0:1 დე როსი (70), 0:2 მანსინი (90)
*კიეზამ ვერ გაიტანა პენალტი (41, ააცილა)*
სიენა: ფორტინი, ნეგრო, ლეგროტალიე, ტუდორი, გასტალდელო, დავერსა, პარო, ვერგასოლა, ლოკატელი (მოლინარო 83), ვოლპატო (გუცმანი 71), კიეზა
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
რომა: დონი, როზი (ტომაზი 58), მექსეში, კივუ, კუფრე, დე როსი, აკილანი, ტადეი (კუფური 76), პეროტა, მანსინი, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: ტუდორი, ლეგროტალიე, კუფრე, პარო, გასტალდელო, ტოტი, დავერსა
მსაჯი: აიროლდი
8 000 მაყურებელი

### ლაციო 1:1 უდინეზე

1:0 როკი (20), 1:1 იაკინტა (26პ)
ლაციო: პერუცი, ოდო, სტენდარდო, სივილია, ძაური, ბელერი, მუდინგაი, დაბო (კელერი 79), მაური (ტარე 61), როკი, პანდევი (ბონანი 70)
მწვრთნელი: დელიო როსი
უდინეზე: დე სანქტისი, საპატა, ნატალი, ფელიპე, დ. ძენონი, ვიდიგალი, ბარონიო, ტისონე (ობოდო 71), კანდელა, იაკინტა (ბარეტო 85), დი ნატალე (როსინი 90)
მწვრთნელი: ნესტორ სენსინი
გაფრთხილება: საპატა, ძაური, მაური, ფელიპე
მსაჯი: დე მარკო
23 000 მაყურებელი

### ტრევიზო 1:2 კიევო

0:1, 0:2 ტირიბოკი (39, 47), 1:2 ბორიელო (77)
ტრევიზო: სერენი, მაჯო, ვიალი, გუსტავო, დელაფიორე, პინგა (აკუაფრესკა 85), პარავიჩინი (ა. ფილიპინი 46), ბალეჯიო, გიგუ, ბორიელო, რეგინალდო
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
კიევო: ა. ფონტანა, დ. მორო, მანდელი, დანა, ლანა, სემიოლი (მალაგო 90), ძანკეტა (ბრიგი 70), ჯუნტი, დ. ფრანჩესკონი, ამაური, ტირიბოკი (პელისიერი 85)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: ძანკეტა, ტირიბოკი, ფილიპინი, დელაფიორე
მსაჯი: პიერი
4 500 მაყურებელი

### სამპდორია 4:2 მესინა

0:1 მუსლიმოვიჩი (17), 1:1 კასტელინი (19), 2:1 ვოლპი (69პ), 3:1 ტონეტო (80), 3:2 დი ნაპოლი (89), 4:2 ფოტი (90)
სამპდორია: კასტელაცი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, სალა, მ. პიზანო, დიანა, ვოლპი, პალომბო, გასბარონი (მარკეზეტი 79), ფოტი, კოლომბო (ტონეტო 56)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
მესინა: სტორარი, ინოჩენტი, რეზაეი, არონიკა, ძანკი (კრისტანტე 46), რაფაელი, ნოჩერინო (ნანი 75), დონატი, სკული, დი ნაპოლი, მუსლიმოვიჩი (კალიონი 68)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: კასტელინი, ძანკი, ვოლპი
გაძევება: სტორარი (65)
მსაჯი: ტალიავენტო
21 000 მაყურებელი

### პარმა 0:0 ასკოლი

პარმა: ბუჩი, პ. კანავარო, კარდონე, ფ. კოუტუ, კონტინი, მარკიონი, გრელა (ბოლანო 83), სიმპლისიო, მორფეო (რუოპოლო 86), ბრეშიანო (დესენა 49), კორადი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
ასკოლი: ფ. კოპოლა, კომოტო, დომიცი, პაჩი, დელ გროსო, ფოჯა (ჯამპა 62), გუანა, პაროლა, ფინი, ფერანტე (კალიარელა 28, კარიელო 88), ბიელანოვიჩი
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
გაფრთხილება: ფოჯა, კონტინი, დომიცი, კარდონე, პაჩი, გუანა
მსაჯი: საკანი
12 000 მაყურებელი

### ემპოლი 0:1 პალერმო

0:1 ბარძალი (90)
ემპოლი: კეხასი, ლუკინი (რაჯი 46), კოდა, ვანილი, ასკოლი (ლოდი 70), ბუშე, პ. ძანეტი, ფიჩინი, ვანუკი, ტავანო, პოცი (რიგანო 69)
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
პალერმო: ანდუხარი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, ბარონე, კოდრია, ჯია ტედესკო, მ. გონსალესი (ბრიენძა 46), დი მიკელე (სანტანა 64), კარაჩოლო
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: კოდრია, ვანუკი, ასკოლი, ძანეტი, კოდრია, ბიავა
გაძევება: კოდრია (75)
მსაჯი: ფარინა
5 000 მაყურებელი

### კალიარი 0:0 ლეჩე

კალიარი: კიმენტი, ფერი, კანინი, ბეგა, აგოსტინი, მ. ესპოზიტო, აბეიხონი, ბუდელი (კაპონე 60), გობი, ლანჯელა (კოსუ 70), სუაცო
მწვრთნელი: ნედო სონეტი
ლეჩე: ბენუსი, კამიზა, დიამუტენე, საიდი, ე. რულო, დელ ვეკიო, ლედესმა, ჯაკომაცი (მარიანინი 72), კოცოლინო (კონანი 55), ვუჩინიჩი, კამორანი
მწვრთნელი: რობერტო რიცო
გაფრთხილება: გობი, ლანჯელა, რულო, ჯაკომაცი, სუაცო
გაძევება: კამორანი (81)
მსაჯი: როკი
7 000 მაყურებელი

**საქართველოში** გუშინდელი შუაღამის დადგომამდე ნახევარი საათით ადრე სერია A-ს მოყვარულთა ყურადღება „სან სიროზე" გადაერთო, სადაც 25-ე ტურის მთავარი თამაში, „დერბი დელა იტალიად" წოდებული „ინტერი" — „იუვენტუსი" დაიწყო, მანამდე კი დანარჩენი ცხრა მატჩი შედგა და ყურადღება ამ ცხრა მატჩში დანიშნულმა შვიდმა პენალტმა მიიპყრო. ალბათ, საინტერესოა, რომ იტალიელმა პენალტისტებმა შვიდიდან სამი ვერ გაიტანეს. ხელმოცარულთა გვარებია: სიენელი ენრიკო კიეზა, კიევოელი ამაური და ფიორენტინელი ლუკა ტონი... სწორედ ის!

ახლა კი, მას მერე, რაც პენალტებისა ვთქვით, ჰეთ თრიქისაც ვთქვათ — მილანელ ფილიპო ინძაგის ბებრის ყვავილობა უდგას. „მილანი" რეჯო კალაბრიაში „რეჯინას" სტუმრობდა და, სხვათა შორის, თავიდან აგებდა, მე-11 წუთზე იაპ სტამის შეცდომითა და მეკარე დიდას ყოყმანით კარლოს პარედესმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა, მაგრამ მასპინძელთა სიხარული სამწუთიანი გამოდგა. სულ კი მილანმა „რეჯინას" ოთხი გაუტანა. ინძაგის პირველ და მეორე გოლებს შორის ერთი ალბერტო ჯილარდინომ შეაგდო.

კახა კალაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ბარაქალა „რომას", რომელმაც სიენაში ზედიზედ მეცხრე გამარჯვება იზეიმა! ისე, საინტერესოა, სადამდე შეძლებენ ასე გაგრძელებას? თეორიულად, რომაელებს ამ სეზონში ზედიზედ ოცდაორის შანსი აქვთ, მაგრამ ხომ ამბობენ, ხანდახან თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს სცილდებაო?! ვნახოთ, დაველოდოთ და „რომას" „ფიორენტინას" წაგება მივულოცოთ. ფლორენციელებს კრისტიანო ლუკარელის ორი გოლით „ლივორნომ" მოუგო. ცნობისათვის: ამ შეხვედრაში სტუმრებს მეორე ყვითელი ბარათისთვის დარიო დაინელიც გაუძევეს. ისე კი, „რომასა" და „ფიორენტინას" ურთიერთობის ზოგადი სურათის ნათლად დასანახად ცხრილის დახედვა სჯობს.

ხოლო, ვეტერან არგენტინელ ფეხბურთელს, ნესტორ სენსინის „უდინეზეს" თავკაცის თანამდებობაზე დებიუტი ჰქონდა და, ვფიქრობთ, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო. უდინელებმა რომში „ლაციოსთან" 1:1 ითამაშეს. სხვათა შორის, სენსინი ადრე „ლაციოშიც" თამაშობდა.

**კაკუნა ქედია**

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| 18-19 თებერვალი | | |
| სამპდორია | : | ასკოლი |
| მილანი | : | კალიარი |
| რომა | : | ემპოლი |
| ლივორნო | : | ინტერი |
| მესინა | : | იუვენტუსი |
| ფიორენტინა | : | ლაციო |
| კიევო | : | პალერმო |
| ტრევიზო | : | პარმა |
| ლეჩე | : | რეჯინა |
| უდინეზე | : | სიენა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 21 | 3 | 1 | 51:15 | 66 |
| მილანი | 25 | 17 | 3 | 5 | 57:24 | 54 |
| ინტერი | 25 | 17 | 3 | 5 | 48:20 | 54 |
| ფიორენტინა | 25 | 15 | 5 | 5 | 41:25 | 50 |
| რომა | 25 | 14 | 6 | 5 | 48:25 | 48 |
| ლივორნო | 25 | 11 | 9 | 5 | 28:25 | 42 |
| კიევო | 25 | 10 | 8 | 7 | 33:28 | 38 |
| სამპდორია | 25 | 10 | 7 | 8 | 41:33 | 37 |
| ლაციო | 25 | 8 | 11 | 6 | 31:30 | 35 |
| პალერმო | 25 | 8 | 9 | 8 | 36:38 | 33 |
| უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 25:36 | 27 |
| ასკოლი | 25 | 5 | 11 | 9 | 24:30 | 26 |
| სიენა | 25 | 6 | 8 | 11 | 29:40 | 26 |
| რეჯინა | 25 | 7 | 5 | 13 | 26:43 | 26 |
| კალიარი | 25 | 5 | 8 | 12 | 27:39 | 23 |
| მესინა | 25 | 4 | 11 | 10 | 23:35 | 23 |
| პარმა | 25 | 5 | 8 | 12 | 27:43 | 23 |
| ემპოლი | 25 | 6 | 4 | 15 | 27:45 | 22 |
| ტრევიზო | 25 | 2 | 8 | 15 | 15:38 | 14 |
| ლეჩე | 25 | 3 | 5 | 17 | 16:41 | 14 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 22 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 18 |
| ტოტი (რომა) | 15 |
| შევჩენკო (მილანი) | 14 |
| ჯილარდინო (მილანი) | 14 |
| კ. ლუკარელი (ლივორნო) | 14 |

## სერია B. XXIX ტური

არეცო — ვიჩენცა 0:0; ატალანტა — მანტოვა 2:1; ბრეშა — ალბინოლეფე 3:0; კროტონე — ბოლონია 3:0; მოდენა — ტერნანა 2:0; პიაჩენცა — ბარი 1:1; ტორინო — კატანძარო 2:0; ტრიესტინა — რიმინი 1:1; ვერონა — პესკარა 1:1. *ჩეზენა — კრემონეზე და აველინო — კატანია დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კატანია | 28 | 15 | 8 | 5 | 42:29 | 53 |
| ატალანტა | 29 | 16 | 5 | 8 | 44:32 | 53 |
| მანტოვა | 29 | 14 | 10 | 5 | 36:23 | 52 |
| ბრეშა | 29 | 12 | 13 | 4 | 40:23 | 49 |
| ჩეზენა | 28 | 13 | 8 | 7 | 41:30 | 47 |
| ტორინო | 29 | 12 | 11 | 6 | 33:24 | 47 |
| არეცო | 29 | 11 | 11 | 7 | 29:20 | 44 |
| კროტონე | 29 | 12 | 7 | 10 | 32:28 | 43 |
| პესკარა | 28 | 11 | 8 | 9 | 29:28 | 41 |
| პიაჩენცა | 29 | 9 | 12 | 8 | 39:34 | 39 |
| ბოლონია | 29 | 9 | 11 | 9 | 31:32 | 38 |
| მოდენა | 29 | 8 | 13 | 8 | 38:32 | 37 |
| ვერონა | 28 | 8 | 13 | 7 | 31:26 | 37 |
| რიმინი | 29 | 9 | 10 | 10 | 33:34 | 37 |
| ტრიესტინა | 29 | 8 | 11 | 10 | 29:34 | 35 |
| ვიჩენცა | 29 | 9 | 7 | 13 | 28:36 | 34 |
| ბარი | 29 | 7 | 12 | 10 | 29:33 | 33 |
| ტერნანა | 29 | 5 | 12 | 12 | 22:38 | 27 |
| აველინო | 28 | 6 | 9 | 13 | 28:46 | 27 |
| ალბინოლეფე | 29 | 4 | 13 | 12 | 20:35 | 25 |
| კატანძარო | 28 | 5 | 6 | 17 | 16:38 | 21 |
| კრემონეზე | 27 | 3 | 8 | 16 | 21:36 | 17 |

## სერია C1/A
### გადადებული მატჩები

პრო სესტო — ფერმანა 0:0; პიციგეტონე — ნოვარა 1:2; პრო პატრია — ჯულიანოვა 1:1

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი XXIII ტური

**ვალენსია 1:0 ბარსელონა**

1:0 ვილია (43)

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, დ. ნავარო, მორეტი, ალბიოლი, ბარახა, ალბელდა, ანგულო (რუფეტე 81), რეგეირო (ფ. აურელიო 86), ვილია, აიმარი (უგო ვიანა 89)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
**ბარსელონა:** ვ. ვალდესი, პუიოლი, მარკესი, ედმილსონი, ვან ბრონკჰორსტი, ოლეგერი (ბელეტი 56), ინიესტა, ვან ბომელი (სილვინიო 71), ჟიული (ლარსონი 42), ეტოო, ესკერო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ალბელდა, ანგულო, ვილია, მარკესი, ედმილსონი, ვან ბომელი, ბელეტი
მსაჯი: პერეს ბურული
55 000 მაყურებელი

**ბილბაო 0:2 რეალი**

0:1 რობინიო (5), 0:2 რაულ ბრავო (90)
**ბილბაო:** ლაფუენტე, ლაკრუსი, ხ. პრიეტო, ორბაისი, ამორებიეტა, ირაოლა, გურპეგი, უსტარიცი (მურილიო 46), დანიობეიტია (იულენ გერერო 71), ურსაისი (ლორენტე 61), ადურიცი
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, სერხიო რამოსი, ვუდგეიტი, რობერტო კარლოსი, სისინიო (რაულ ბრავო 87), პაბლო გარსია (გრავესენი 23), გუტი (ჟულიო ბაპტისტა 89), ზიდანი, რონალდო, რობინიო
მწვრთნელი: ხუან რამონ ლოპეს კარო
გაფრთხილება: ადურიცი, ვუდგეიტი, ამორებიეტა, სერხიო რამოსი, სალგადო, გერერო, გრავესენი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
37 600 მაყურებელი

**ბეტისი 0:1 დეპორტივო**

0:1 რუბენი (90)
**ბეტისი:** დობლასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ო. ლოპესი, მელი, არზუ, კაპი (მ. ასუნსაო 38), ხოაკინი, დანი, ტარდელი (ხისკო 84), რობერტი
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ხუანმა, დუშერი, დე გუცმანი (სესარი 88), ვიქტორი, ტრისტანი (არისმენდი 63), მუნიტისი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: ლუის ფერნანდესი, დე გუცმანი, დობლასი, მანუელ პაბლო, მუნიტისი, ჟორჟე ანდრადე
მსაჯი: პინო სამორანო
35 000 მაყურებელი

**ოსასუნა 1:1 სარაგოსა**

1:0 მილოშევიჩი (2), 1:1 პონციო (41)
**ოსასუნა:** რიკარდო, კლავერო, კუელიარი, კრუჩაგა, ხავიერ ფლანიო, რაულ გარსია (ბრიტი 72), პუნიალი, მოა (დავიდ ლოპესი 59), მუნიოსი, დელპორტი, მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
**სარაგოსა:** კარლო სანჩესი, არანსაბალი, ალვარო, გ. მილიტო, მოვილია, ჩანი (ლაფიტა 46), პონციო, ოსკარი, ხენერელო, სერხიო გარსია (სელადესი 66), დ. მილიტო (ევერტონი 46)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: კუელიარი, პუნიალი, სელადესი
მსაჯი: მეხია დავილა
16 978 მაყურებელი

**კადისი 0:4 სევილია**

0:1 სავიოლა (6), 0:2 პუერტა (71), 0:3 კეპა (88), 0:4 კანუტი (89)
**კადისი:** არმანდო, დე ლა კუესტა, რაულ ლოპესი, ბერიცო, ვარელა, ესტოიანოფი (ენრიკე 46), ბენხამინი (მორანი 61), ბეზარესი, მიროსავლიევიჩი, ხონათან სესმა (ლობოსი 46), ა. მედინა
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
**სევილია:** პალოპი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დრაგუტინოვიჩი, აიტორ ოსიო, დანიელ ალვესი, ხესუს ნავასი, ადრიანო კორეირა (პუერტა 53), მარესკა (ესკუდე 79), სავიოლა (კეპა 87), კანუტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ბერიცო, დრაგუტინოვიჩი, პუერტა
მსაჯი: გონსალეს ვასკესი
19 000 მაყურებელი

**სელტა 1:0 ვილიარეალი**

1:0 ბაიანო (383)
**სელტა:** პინტო, ხოსე ენრიკე, ლეკო, ანხელი, სერხიო, ოუბინია, ნუნიესი, სილვა, ხორხე (კონტრერასი 78), კანობიო (რობერტო 51), ბაიანო (ხ. პერერა 63)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
**ვილიარეალი:** ვიერა, გონსალო, არუაბარენა, კიკე ალვარესი, ხავი ვენტა, ხოსიკო (ტაკინარდი 75), როხერი, სენა, ფორლანი, გიარე (ხოსე მარი 63), კალეხა (ექტორ ფონტი 63)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: გონსალო, რობერტო
მსაჯი: მედინა კანტალეხო
17 000 მაყურებელი

**ატლეტიკო 1:0 სოსიედადი**

1:0 კეჟმანი (83)
**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, მოლინერო, პაბლო, პერეა, ველასკო, ლუქსენი, მაქსი როდრიგესი, გალეტი (კეჟმანი 36), იბაგასა (გაბი 83), მ. პეტროვი, ფ. ტორესი (კოლსა 88)
მწვრთნელი: პეპე მურსია
**სოსიედადი:** რიესგო, ლოპეს რეკარტე, ხაურეგი, ლაბაკა, გარიდო, მიკელ ალონსო, ნოვო (ხ. პრიეტო 71), სტეფანოვიჩი (დიას დე სერიო 84), ვიაფარა, სკოუბო, ურანგა (მარკ გონსალესი 74)
მწვრთნელი: გონსალო არკონადა
გაფრთხილება: მოლინერო, პერეა, ლუქსენი
გაძევება: ვიაფარა (90)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**ესპანიოლი 0:2 რასინგი**

0:1 დამია (80), 0:2 კასკერო (83)
**ესპანიოლი:** ირაისოსი, არმანდუ სა, დავიდ გარსია, ლოპო, ხარკე, ედუარდო კოშტა, დე ლა პენია, ხოფრე (კორო 46), ფრედსონი (ლუის გარსია 58), ხუანფრანი, პანდიანი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
**რასინგი:** აუატე, დამია, ორიოლი, პინილიოსი, პაბლო ალფარო, აიოზი, ვიტოლო, ფელიპე მელო, მატაბუენა (კასკერო 76), ხ. ვალე (ოსკარ სერანო 63), ანტონიტო (პინილია 68)
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: დე ლა პენია, ორიოლი
მსაჯი: ესკინას ტორესი
15 000 მაყურებელი

**ალავესი 3:2 მალაგა**

1:0 ბოდიპო (44), 2:0 ალოიზი (50), 3:0 ბოდიპო (56), 3:1 დუდა (70), 3:2 იდალგო (88)
**ალავესი:** კოსტანცო, კორომინა, ხუანიტო, სარიეგი, დე ლუკასი (პოლი 78), კარპინტერო (ხანდრო 54), ედუ ალონსო, ასტუდილიო, ნენე, ბოდიპო (პელეგრინო 68), ალოიზი
მწვრთნელი: ხუან კარლოს ოლივა
**მალაგა:** არნაუ, ლიტოსი, სეზარ ნავასი (ანტონიო ლოპესი 73), ალექსისი, ხერარდო, ა. იდალგო, დუდა, რ. ბოვიო (ხ. როდრიგესი 68), ედგარი (გაბრიელი 62), ჩენგე მორალესი, კუნაგო
მწვრთნელი: მანოლო იერო
გაფრთხილება: სეზარ ნავასი, ხერარდო, კარპინტერო, დე ლუკასი, პოლი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
14 000 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 ხეტაფე**

1:0 არანგო (69), 1:1 ვივარ დორადო (78)
**მალიორკა:** პრატსი, ფ. ნავარო, კორტესი, ნუნიესი, ტუციო, პერეირა, დონი (ბასინასი 46), კაპანო, არანგო, პისკულიჩი (ბრაულიო 71), ოკუბო (ვიქტორი 58)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
**ხეტაფე:** კალატაიუდი, კონტრა, მ. პერნია, ბელენგერი, მატელანი, დ. რივასი, მარიო კოტელო (პაჩონი 77), ვივარ დორადო, გავილანი, რიკი (ალბერტო 82), გიზა (რედონდო 77)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: დონი, ვივარ დორადო, პერეირა, პრატსი, რედონდო, ვიქტორი, კორტესი, კალატაიუდი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
15 000 მაყურებელი

# ბარსელონას გაუფრინდა

## ბილბაო ეგებ თავად გაფრინდეს



სიხარულით დაჩოქებულმა ვალენსიელმა დავიდ ვილიამ „ბარსელონა“ დაჩოქა

**თუ „რეალი“** სადმე სძულთ — ბასკთა ქვეყანაში. უფრო მეტადაც სძულთ, ვიდრე ბარსელონაში და ამიტომაცაა „ბილბაო“ — „რეალი“ მუდამ სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში. ამათი შაბათის მატჩი კი უფრო მეტად მნიშვნელოვანიც იყო: „რეალს“ სარაგოსული სირცხვილისთვის უნდა მოებოდიშებინა, „ბილბაოს“ კი გასავარდნებიდან აქვს თავი დასაღწევი.

ბილბაოელმა გულშემატკივარმა თამაშის დაწყებამდე შენიშნა, თუ როგორ აიტკივა მოთელვისას ფეხი გუტიმ. მათ ეს, ცხადია, გაუხარდათ, თუმცა საქმე სავალალოდ ძალიან მალე გაუხდათ — „ბილბაომ“ მეხუთე წუთზე გოლი გაუშვა. რობინიომ ზინედინ ზიდანის პასით გაიტანა.

სწრაფმა გოლმა „რეალი“ დაამშვიდა, „ბილბაოს“ კი გონზე მოსასვლელად მცირე დრო დასჭირდა, რის მერეც მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს. „რეალმა“ შტურმს გაუძლო, ხოლო, როცა ბასკებს ძალა გამოეცალათ, მადრიდელებმა იქით შეუტიეს. რონალდომ ორჯერ გაიყვანა რობინიო მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ორჯერვე უშედეგოდ.

საგოლე მომენტები მეორე ტაიმშიც, ორივე კართან, საკმაოდ იყო, თუმცა რაულ ბრავომ მაშინ შეაგდო, მესამე წამატებული წუთი რომ მიდიოდა.

ამგვარად, „რეალმა“ სარაგოსისთვის ბოდიში მოიხადა და ფეხბურთელებმაც, ალბათ, სისინიოს გარდა, ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. ურიგო შთაბეჭდილება არც „ბილბაოს“ დაუტოვებია და მსაჯი უფრო გულმოწყალე რომ ყოფილიყო, ეგებ თამაშიც სხვაგვარად დასრულებულიყო — ერთ ეპიზოდში მსაჯს ვუდგეიტზე პენალტი რომ მიეცა, ალბათ, ვერავინ გაკიცხავდა.

ტურის მეორე მთავარი მატჩი, ცხადია, „ვალენსია“ — „ბარსელონა“ იყო, რომლის დასრულების მერეც, ცხრილს თუ ჩავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ კატალონიელებს აღარ აქვთ ის უზარმაზარი უპირატესობა, სულ ცოტა ხნის წინ რომ ჰქონდათ.

„ბარსელონამ“ ისევ წააგო, თანაც ტიტულის მთავარ მოცილე „ვალენსიასთან“, ანუ, როგორც იტყვიან, ექვსქულიანი თამაში დათმო. ამაში დამნაშავე კი დავიდ ვილიას პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი გოლია.

გამოსარჩევი ამბები სხვა მატჩებშიც მოხდა. „ალავესმა“ მეორე საშინაო მატჩი მოიგო ამ სეზონში და ბოლო ორ თვეში პირველად ასცდა გასავარდნ ზონას. იქ კი, ბოლო სამეულში, ვიტორიელთა ადგილი მათგანვე ძლეულმა „მალაგამ“ დაიჭირა.

მადრიდის „ატლეტიკოსთვის“ კი „სოსიედადთან“ გამარჯვება მიჯრით მეოთხე იყო. წინა ტურში „ბარსას“ მძლეველებმა მატია კეჟმანის აკრობატიული თავურით მოიგეს.

ხოლო „ვილიარეალი“ სულ უფრო და უფრო შორდება საევროთასო ზონას. ხუან რომან რიკელმეს ტრავმა მეტად მძიმე დანაკლისი გამოდგა ამ გუნდისთვის, რომელსაც ბოლო შვიდ ტურში მხოლოდ ერთი თამაში აქვს მოგებული. ამ ჯერზე „ვილიარეალი“ ვიგოში დამარცხდა. ერთადერთი გოლი კი „სელტას“ მთავარმა მეგოლემ, ფერნანდო ბაიანომ გაიტანა პენალტით.

„ბეტისი“, გულახდილად რომ ვთქვათ, წაგება არ [illegible] და აშკარად სჯობდა „დეპორ[illegible]ვოს“. მაგრამ [illegible] მასპინძელთა რამ[illegible] დარტყმული აილო, მეორე წამატებულ წუთზე კი ენრიკე რომეროს პასით რუბენ კასტრომ სევილიელებს გულები გაუხეთქა.

**ბოტე ბებელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 23 | 16 | 4 | 3 | 53:20 | 52 |
| ვალენსია | 23 | 13 | 7 | 3 | 34:19 | 46 |
| რეალი | 23 | 14 | 3 | 6 | 44:23 | 45 |
| ოსასუნა | 23 | 13 | 4 | 6 | 29:24 | 43 |
| სელტა | 23 | 12 | 3 | 8 | 25:24 | 39 |
| სევილია | 23 | 11 | 5 | 7 | 31:21 | 38 |
| დეპორტივო | 23 | 10 | 6 | 7 | 31:25 | 36 |
| ვილიარეალი | 23 | 9 | 8 | 6 | 28:22 | 35 |
| ატლეტიკო | 23 | 8 | 8 | 7 | 27:23 | 32 |
| სარაგოსა | 23 | 7 | 11 | 5 | 32:31 | 32 |
| ხეტაფე | 23 | 8 | 6 | 9 | 32:29 | 30 |
| რასინგი | 23 | 6 | 9 | 8 | 21:26 | 27 |
| სოსიედადი | 23 | 7 | 4 | 12 | 32:44 | 25 |
| ესპანიოლი | 23 | 6 | 6 | 11 | 20:35 | 24 |
| ალავესი | 23 | 5 | 7 | 11 | 24:36 | 22 |
| ბეტისი | 23 | 5 | 7 | 11 | 20:32 | 22 |
| კადისი | 23 | 5 | 7 | 11 | 17:30 | 22 |
| მალაგა | 23 | 5 | 5 | 13 | 28:37 | 20 |
| ბილბაო | 23 | 4 | 7 | 12 | 25:34 | 19 |
| მალიორკა | 23 | 4 | 7 | 12 | 22:40 | 19 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ეტოო (ბარსელონა) | 18 |
| ვილია (ვალენსია) | 15 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 11 |
| რონალდინიო (ბარსელონა) | 11 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 10 |
| რონალდო (რეალი) | 10 |

**XXIV ტური**

18-19 თებერვალი

ვილიარეალი : ესპანიოლი
სევილია : სელტა
კადისი : ოსასუნა
დეპორტივო : სარაგოსა
ბარსელონა : ბეტისი
სოსიედადი : ვალენსია
ხეტაფე : ატლეტიკო
მალაგა : მალიორკა
რეალი : ალავესი
რასინგი : ბილბაო

### სეგუნდადივიზიონი

**XXIV ტური**

ელჩე — ლევანტე 0:1; მალაგა B — ტენერიფე 1:4; უელვა — სპორტინგი 0:0; ალბასეტე — ეიბარი 2:1; ხიმნასტიკი — ვალიადოლიდი 3:2; ნუმანსია — ლეიდა 1:0; ფეროლი — პოლი ეხიდო 0:1; რეალი B — სიუდად მურსია 0:1; მურსია — ლორკა 0:1; კასტელიონი — ხერესი 3:2; ალმერია — ერკულესი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 24 | 12 | 8 | 4 | 40:25 | 44 |
| უელვა | 24 | 12 | 8 | 4 | 34:20 | 44 |
| ლევანტე | 24 | 11 | 8 | 5 | 33:24 | 41 |
| ლორკა | 24 | 11 | 7 | 6 | 35:23 | 40 |
| ხიმნასტიკი | 24 | 12 | 3 | 9 | 25:25 | 39 |
| ალმერია | 24 | 11 | 5 | 8 | 30:23 | 38 |
| ვალიადოლიდი | 24 | 8 | 11 | 5 | 34:28 | 35 |
| სიუდად მურსია | 24 | 9 | 7 | 8 | 31:31 | 34 |
| ალბასეტე | 23 | 9 | 6 | 8 | 25:29 | 33 |
| რეალი B | 24 | 9 | 5 | 10 | 33:28 | 32 |
| მურსია | 24 | 8 | 8 | 8 | 23:22 | 32 |
| ნუმანსია | 24 | 8 | 8 | 8 | 23:31 | 32 |
| სპორტინგი | 23 | 7 | 10 | 6 | 25:20 | 31 |
| ელჩე | 24 | 8 | 7 | 9 | 30:35 | 31 |
| ტენერიფე | 24 | 8 | 6 | 10 | 32:36 | 30 |
| ლეიდა | 24 | 8 | 4 | 12 | 24:26 | 28 |
| ერკულესი | 24 | 6 | 9 | 9 | 25:30 | 27 |
| პოლი ეხიდო | 24 | 7 | 5 | 12 | 25:32 | 26 |
| ფეროლი | 24 | 5 | 10 | 9 | 28:34 | 25 |
| კასტელიონი | 24 | 6 | 7 | 11 | 23:32 | 25 |
| ეიბარი | 24 | 4 | 11 | 9 | 18:27 | 23 |
| მალაგა B | 24 | 4 | 7 | 13 | 17:32 | 19 |

### როიალ ლიგა 2006

**A ჯგუფი. IV ტური**

ვოლერენგა 0:1 მიდტიულანდი
ჰამარბი 4:0 სტარტი

**B ჯგუფი. IV ტური**

ბრონდბიუ 1:0 კალმარი
კოპენჰაგენი 1:1 ლილესტრიომი

**C ჯგუფი. IV ტური**

გიოტებორგი 2:0 იურგორდენი
ლინი 0:0 ოლბორგი

### ამხანაგური მატჩები

აშშ 3:2 იაპონია
კოსტა რიკა 1:0 კორეა
ჩინეთი 0:1 ჰონდურასი

# ო ლა ლა, ოლა

## საფრანგეთი

### I დივიზიონი. XXVI ტური

**ლანსი 1:1 ლიონი**
1:0 ჟუსიე (55), 1:1 ვილტორდი (90)
**ოსერი 1:1 მეცი**
0:1 ობრანიაკი (54), 1:1 პიერონი (75პ)
**ბორდო 2:0 რენი**
1:0 მენეგაცო (39), 2:0 შმიცერი (67)
**ლე მანი 2:0 ნიცა**
1:0 ფანშონე (61), 2:0 ი. ბანგურა (65)
**მონაკო 1:1 ტრუა**
1:0 ვიერი (15), 1:1 ელ იამისი (63)
**ნანსი 2:0 სენტ ეტიენი**
1:0 შრატიენი (9), 2:0 კრუპი (16)
**ნანტი 3:1 სოშო**
1:0 დიალო (20), 1:1 ილანი (33), 2:1, 3:1 დიალო (71, 73)
**სტრასბური 2:2 აიაჩო**
1:0 ა. ფარნერუდი (2), 1:1 აბდესადკი (57), 2:1 დიანე (59), 2:2 მ. ნდიაიე (62)
**მარსელი 0:0 ტულუზი**
**ლილი 0:0 პსჟ**

**ლიდერი** „ლიონი" გამოცდილმა სილვენ ვილტორდმა მარცხისგან იხსნა. ჟერარ ულიეს გუნდი ბოლო წამამდე აგებდა, მაგრამ კრისისა და სიდნეი გოვუს აქტიურობას „არსენალის" ყოფილი ფორვარდის ზუსტი დარტყმა მოჰყვა, „ლანსის" მეკარე შარლ იტანჟემ კი გუნდი ვერ იხსნა.

ცხადია, ლანსელები უკმაყოფილონი დარჩნენ მატჩის საბოლოო შედეგით. ისინი მთელი შეხვედრის მანძილზე უფრო ლაღად და უკეთ თამაშობდნენ. ჟუსიეს კოხტა გოლის შემდეგ მასპინძლებს თითქოს მოგება გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ სხვაობის გაზრდა ველარ შეძლეს და დაისაჯნენ.

ლიდერის წაბორძიკებით ისარგებლა „ბორდომ" და სხვაობა უკვე შვიდ ქულამდე შეამცირა. თუმცა „ლიონს" ერთი მატჩი მარაგში აქვს. ჟირონდელებმა „რენი" დაიბრიყვეს — ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. არადა, მასპინძელთა ძირითადი მეკარე ულრიხ რამე შეხვედრის დებიუტში დაიმტვრა და შესაცვლელი შეიქნა.

მიმდინარე სეზონში „ბორდოს" ხშირად აკრიტიკებენ, უსახურ ფეხბურთს თამაშობსო. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როდესაც ჟირონდელები მატჩებს მიჯრით 1:0-ს იგებდნენ და დაცვას დიდ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე თავდასხმას. ამის პასუხად, „ბორდომ" „რენთან" საკმაოდ ლამაზად ითამაშა.

საწყის წუთებში ცოტა გაუჭირდათ მასპინძლებს, მაგრამ მერე ინიციატივა ხელთ იგდეს და მარტივად მოუმთავრეს საქმე მეტოქეს. მრავალი საგოლე ეპიზოდიდან „ბორდომ" ორის დაგვირგვინება შეძლო. ფერნანდო მენეგაცომ პურეას პასი შეირგო, ხოლო ვლადიმირ შმიცერს დენილსონმა გაუწია ასისტენტობა.

ერთი სიტყვით, ჩემპიონობისთვის ბრძოლამ ოდნავი ინტრიგა შეიძინა. „ლიონსა" და „ბორდოს" შორის ქულათა სხვაობა შემცირდა. საყურადღებოა ისიც, რომ „ლიონმა" ბოლო სამ მატჩში ოდენ სამი ქულა აიღო, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა ქომაგებს ამშვიდებს, ყველაფერი კარგად არისო.

„რთული პერიოდი გვქონდა, რომელსაც ნელ-ნელა გადავლახავთ. ახლა ისევ ძველ ფორმას ვიბრუნებთ, რაც ჩემპიონთა ლიგაში პსვ-სთან მატჩის წინ ძალიან კარგია" — თქვა ოლამ.

დაბოლოს, „მონაკოსა" და „ტრუას" მატჩიც გამოვარჩიოთ. ფრანჩესკო გვიდოლინის გუნდმა გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერთან ორი ქულა დაკარგა და ისევ ცხრილის შუაშია გაჭედილი. მონაკოელებმა ულიმლამოდ ითამაშეს, კრისტიან ვიერიმ კი კვლავაც შეაგდო.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 25 | 16 | 8 | 1 | 40:16 | 56 |
| ბორდო | 26 | 13 | 10 | 3 | 24:12 | 49 |
| ოსერი | 26 | 13 | 4 | 9 | 33:26 | 43 |
| ლილი | 26 | 11 | 8 | 7 | 34:19 | 41 |
| პსჟ | 26 | 11 | 7 | 8 | 31:25 | 40 |
| მარსელი | 26 | 11 | 7 | 8 | 26:27 | 40 |
| ლე მანი | 26 | 11 | 6 | 9 | 26:19 | 39 |
| ლანსი | 26 | 8 | 14 | 4 | 33:22 | 38 |
| მონაკო | 25 | 10 | 7 | 8 | 26:20 | 37 |
| ნანსი | 25 | 10 | 5 | 10 | 26:19 | 35 |
| სენტ ეტიენი | 25 | 8 | 10 | 7 | 23:24 | 34 |
| ტულუზი | 26 | 9 | 7 | 10 | 25:28 | 34 |
| ნანტი | 25 | 9 | 6 | 10 | 27:25 | 33 |
| ნიცა | 25 | 8 | 9 | 8 | 19:21 | 33 |
| რენი | 26 | 10 | 2 | 14 | 25:40 | 32 |
| სოშო | 26 | 6 | 9 | 11 | 19:28 | 27 |
| ტრუა | 25 | 6 | 8 | 11 | 22:31 | 26 |
| აიაჩო | 26 | 4 | 9 | 13 | 16:31 | 21 |
| სტრასბური | 26 | 2 | 11 | 13 | 18:35 | 17 |
| მეცი | 25 | 2 | 9 | 14 | 15:40 | 15 |

### II დივიზიონი XXV ტური

მონპელიე — ვალანსიენი 0:0; ბასტია — ლავალი 3:0; ბრესტი — კრეტეი 0:2; კაენი — სეტე 1:0; შატორუ — ამიენი 0:0; დიჟონი — ისტრი 2:0; გრენობლი — სედანი 1:3; გენიონი — გენგამი 1:0; ლე ავრი — რეიმსი 1:1; ლორიანი — კლერმონი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 25 | 13 | 9 | 3 | 36:21 | 48 |
| ბასტია | 24 | 13 | 7 | 4 | 36:17 | 46 |
| ლორიანი | 25 | 11 | 9 | 5 | 31:18 | 42 |
| ვალანსიენი | 25 | 11 | 9 | 5 | 31:21 | 42 |
| დიჟონი | 25 | 10 | 9 | 6 | 29:23 | 39 |
| კრეტეი | 25 | 9 | 10 | 6 | 34:20 | 37 |
| კაენი | 25 | 8 | 10 | 7 | 30:25 | 34 |
| მონპელიე | 25 | 8 | 9 | 8 | 23:26 | 33 |
| გენიონი | 25 | 7 | 12 | 6 | 17:23 | 33 |
| ლე ავრი | 25 | 7 | 11 | 7 | 30:29 | 32 |
| შატორუ | 25 | 7 | 11 | 7 | 30:29 | 32 |
| გრენობლი | 25 | 8 | 8 | 9 | 24:28 | 32 |
| რეიმსი | 24 | 6 | 13 | 5 | 21:15 | 31 |
| ამიენი | 25 | 6 | 12 | 7 | 24:25 | 30 |
| ბრესტი | 25 | 7 | 8 | 10 | 23:28 | 29 |
| ისტრი | 25 | 6 | 9 | 10 | 22:34 | 27 |
| გენგამი | 25 | 5 | 11 | 9 | 17:20 | 26 |
| კლერმონი | 25 | 6 | 7 | 12 | 20:40 | 25 |
| ლავალი | 25 | 6 | 4 | 15 | 20:36 | 22 |
| სეტე | 25 | 2 | 8 | 15 | 19:39 | 14 |




ლანსელი დანიელ კუზინი და ლიონელი კრისი

AFP ლუშინარიბ

# მაკლიში უკვე კლიშეა




„რეინჯერსი" „სელტიკს" ამჯერადაც ვერ გადაახტა

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXVI ტური

**რეინჯერსი 0:1 სელტიკი**
0:1 ჟურავსკი (11)
**ფოლკირკი 0:0 ჰიბერნიანი**
**ჰარტსი 1:2 აბერდინი**
1:0 ელიოტი (9), 1:1 პრესლი (68ს.კ.), 1:2 კლარკი (87)
**ინვერნესი 3:3 კილმარნოკი**
0:1 ნეისმიტი (27), 1:1 ვინსი (34), 2:1 დარგო (68), 2:2, 2:3 ველსი (69, 85), 3:3 პროქტორი (86)
**ლივინგსტონი 0:1 დანფერმლაინი**
0:1 ბერჩილი (12)
**მოზერუელი 2:0 დანდი იუნ.**
1:0, 2:0 ფორანი (27, 57)

**მეოთხედ** შეასკდნენ ერთმანეთს „რეინჯერსი" და „სელტიკი" ამ სეზონში და სელტიკელებმა მესამედ დაჩაგრეს თანაქალაქელები.

გუშინ „აიბროქსზე" გლაზგოური ჯახი იყო. ალექს მაკლიშის „ჩაფრებს" მოგების იმედი აბა, როგორ უნდა ჰქონოდათ, წინა ტურში ხომ სტუმრად 0:2 წააგეს „აბერდინთან", მანამდე კი ასოციაციის თასზე შინ „ჰიბერნიანთან" 0:3 განადგურდნენ. ამიტომაცაა, რომ ორ გლაზგოურ „ვეშაპს" შორის ქულათა სხვაობამ 21-ს უწია. „სელტიკის" პოლონელმა ჟურავსკიმ მეთერთმეტე წუთზე გაუტანა რონალდ ვატერეუსს, რამაც „ჩაფრები" გაახელა, მაგრამ ისე უნიათოდ უტევდნენ, რომ ვერც შესვენებამდე იხეირეს და არც მეორე ტაიმში გამოუჩენიათ ფხა. როი კინით გაძლიერებული „სელტიკი" შუა ხაზში აშკარად ალემატებოდა დამხვდურებს.

„რეინჯერსი" ფაქტობრივად დაემშვიდობა საჩემპიონო ბრძოლას, რადგან სელტიკელთა დაწევა და გადასწრება ზღაპარია.

„ჰართსში" არეულობა გრძელდება. რამდენიმე ფეხბურთელი კლუბის მფლობელს ვლადიმირ რომანოვს შეხვდა და თითქოს გაუგებრობა ამოიწურა. თუმცა ედინბურგელთა ბანაკში კვლავ იგრძნობა დაძაბულობა. „ჰართსმა" შინ „აბერდინთან" წაგება „მოახერხა" და მეორე ადგილზეც ისე მყარად ველარ არის. ხოლო გუნდის თავკაცმა გრემ რიქსმა თქვა, რაც მე აქ ვარ, ასე ცუდად არ გვითამაშიაო.

ბოლოადგილოსანმა „ლივინგსტონმა", შეიძლება ითქვას, ექვსქულიანი მატჩი წააგო „დანფერმლაინთან" და ახლა უმაღლეს ლიგაში დარჩენის უმცირესი შანსი დარჩა. ეს საშინაო მარცხი „ლივინგსტონისთვის" ზედიზედ მეშვიდე იყო და გუნდის მოთამაშე-მწვრთნელმა, „სელტიკისა" და შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა პოლ ლამბერტმა მწვრთნელობაზე უარი თქვა.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 26 | 20 | 4 | 2 | 66:27 | 64 |
| ჰართსი | 26 | 15 | 6 | 5 | 51:22 | 51 |
| ჰიბერნიანი | 26 | 14 | 3 | 9 | 48:34 | 45 |
| რეინჯერსი | 26 | 12 | 7 | 7 | 44:31 | 43 |
| კილმარნოკი | 26 | 11 | 8 | 7 | 49:42 | 41 |
| ინვერნესი | 26 | 8 | 12 | 6 | 37:30 | 36 |
| აბერდინი | 26 | 8 | 11 | 7 | 31:30 | 35 |
| მოზერუელი | 26 | 9 | 6 | 11 | 40:45 | 33 |
| დანდი იუნ. | 26 | 6 | 9 | 11 | 29:42 | 27 |
| ფოლკირკი | 26 | 5 | 6 | 15 | 25:50 | 21 |
| დანფერმლაინი | 26 | 4 | 6 | 16 | 22:47 | 18 |
| ლივინგსტონი | 26 | 2 | 6 | 18 | 13:55 | 12 |

### I დივიზიონი. XXVI ტური

ბრეჩინი — ერდრი 0:0; დანდი — ქუინი 2:3; როსი — ჰამილტონი 2:1; სენტ ჯონსტონი — სენტ მირენი 0:0; სტრანრარი — კლაიდი 0:5

### II დივიზიონი. XXVI ტური

ეარი — ალოა 0:1; დამბარტონი — რეითი 0:1; პარტიკი — მორტონი 1:1; პიტერჰედი — გრეტნა 1:3. ფორფარი — სტირლინგი გადაიდო

### III დივიზიონი. XXVI ტური

ალბიონი — კოუდენბითი 1:3; არბროთი — ელგინი 0:1; ისტ ფაიფი — ისტ სტირლინგი 1:2; მონტროუზი — ქუინზ პარკი 0:0; სტენჰაუზმური — ბერვიკი 1:0

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge